ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲡᲐᲜ

ქართველობის ვადასტურებელი

ᲘᲚᲝᲠᲘ

E-mail: r.jalagania@mail.ru

№307 (366) 10-17 მარტი 2015 ᲡᲐᲰᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ 30 ᲗᲔᲗᲠᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ: ᲗᲣ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲑᲗ ᲗᲐᲕᲡᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚ „ᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ“, ᲓᲐᲕᲘᲓᲣᲞᲔᲑᲘᲗ!

დაიბეჭდა 2013 წლის მაისში, გაზეთში “საქართველო და მსოფლიო”

— როგორ აფასებთ 17 მაისის თბილისის მოვლენებს (იგულისხმება ჰომოსექსუათა აღლუმის დარბევა მოქალაქეების მიერ), რამაც ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია? არსებობს თუ არა სერიოზული საზოგადოებრივი დაპირისპირების ალბათობა ამ ნიადაგზე?

— მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება ვარაუდობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პარიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეორკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ამ მოვლენის ჯერჯერობით ამდენად სერიოზულად გავრცელება არ მოხდა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში უცხოელებთან ურთიერთობისას, და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.

აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. თუ ხელისუფლება და ქართული საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გეზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების“ განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის“ მთავარი მაჩვენებელია. მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ «მოდა» იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის იმდენად დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი გახდნენ, რომ მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანიზირებულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მთელ მსოფლიოში. ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ერთსქესიანი კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს. ამ დღეებში აშშ-ში ჯარში ერთსქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომპენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მასთან ერთად სამხედრო სასაფლაოზე.

— იმედი მაქვს, საქართველოში საქმე აქამდე არ მივა...

— ტყუილად გაქვთ იმედი. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. დიახ, 17 მაისმა დაგვანახა, რომ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა. ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი, ნაადრევია, მაგრამ უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ «ევროპელებს», არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია.

— რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა საზოგადოებამ ამ სიტუაციაში?

— პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, მინიმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არაა საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის «უმცროს ძმად» ყოფნა უღირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების «უმცროსი პარტნიორები» ვართ და ეს, მისი თქმით, დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა — იგი ლაქიაა, მონა. საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს — ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.

უნდა ავუხსნათ «უფროს პარტნიორს», რომ, როდესაც საქართველო იყო «უმცროსი ძმა», საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში, ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო «პედერასტი» სალანძღავი სიტყვა იყო.

როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის «უმცროსი პარტნიორი», შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს, ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედა ენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი «პარტნიორობის» კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

მეორე, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე «საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა», რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად მე ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის — «ქართველობის გადასარჩენად!» სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» გაზეთმა «ილორმა» ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია. ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე «ნაციონალისტი» და «კრემლის რუპორი» მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს «ოპოზიციას» ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი «ანტიამერიკანიზმი» და «ანტიევროპეიზმი». დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრძელებს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: «მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!». სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო «ბრუნდება» ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები — მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი ძირითადი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ საქართველოს «ევროპულ იდენტობასთან» საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს.

საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში «თერგდალეულთა», დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წესჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზეწოლით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს.

დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს აღარ წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — «უმცირესობათა» მოთხოვნებმა. გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა მათი ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნების იგნორირება მოახდინეს.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

დ. მუსხელიშვილის მართებული მოსაზრებით, აფხაზეთისა და ჯიქეთის ერთ საერისთავოში გაერთიანება სწორედ აფხაზთა და ჯიქთა ახლონათესაობით უნდა აიხსნას, რასაც მხარს უჭერს ქართული ფეოდალური საერისთავოების შექმნის ტომობრივ-თემობრივი პრინციპის გათვალისწინება (მუსხელიშვილი II, 1980: 144-145; შდრ. ხორავა 1998: 87). ვახუშტის ზემოთ მითითებული ცნობა, რომ „არს ადგილ ესე (ჯიქეთი – ი. კ.) ყოვლითურთ აფხაზეთისა“ და რომ ჯიქთა და აფხაზთა ზნე, საქციელი, სამოსელი და იარაღსაჭურველი ერთნაირია, ასევე ერთ-ერთი უტყუარი მოწმობაა იმისა, რომ ისინი ერთი მოდგმის ხალხად მივიჩნიოთ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჯიქების თვითსახელია „აბაძა“. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტაპანთელთა თვითსახელიც „აბაზაა“. ქ. ლომთათიძის აზრით, შავი ზღვისპირას, ჯიქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აბაზათა მნიშვნელოვანწილად გაქართველების მაუწყებელია სადღეისო ვითარებაც (ლომთათიძე №12, 1956: 138).

ფიქრობენ, რომ კავკასიის ჩრდილოდასავლეთი ნაწილი პრეაფხაზურ-ადიღურ ჯგუფს და, მათ შორის – ჯიქთა ტომს, საერთოკავკასიური ეთნიკური ერთობის დაშლის შემდეგ (ძვ. წ. V-IV ათასწლ.) უნდა დაეკავებინა, რასაც უკანასკნელი ათწლეულების არქეოლოგიური კვლევების შედეგებიც ცხადყოფს (ჯაფარიძე 1976: 179-193; მისივე 1989: 367-404; ლომოური 2008: 38-39).

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ, აფხაზეთში, ჩრდილოკავკასიელთა ინფილტრაციის (თუ ექსპანსიის) რთულ ისტორიულ პროცესს პერმანენტული ხასიათი უნდა ჰქონოდა და საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა. რეგიონის ეთნიკურ რუკაში შეტანილ ცვლილებებზე ერთ-ერთ პირველ მინიშნებას სტრაბონის ცნობა გვაძლევს, რომლის დროსაც (ძვ. წ. I ს.) იმიერკავკასიიდან ჯიქთა ჩამოსახლება ახლადმომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ეს იყო დიდი კავკასიონის წყალგამყოფი „სასაზღვრო ხაზიდან“ ჯიქთა პირველი მასობრივი გადმოსვლა ამიერკავკასიაში. შავი ზღვის სანაპიროზე, „ბოლოსა აფხაზეთისასა“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 157), მათი დამკვიდრებით შეიქმნა აფხაზეთის ჯიქეთი.

V საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასალმა შეძლო ბიზანტიელთა გავლენის ქვეშ მოქცეული ჯიქთა საცხოვრისის თავისი სამეფოსათვის შეერთება. ჯუანშერი იუწყება, რომ „შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მოადგა ოვსეთსავე“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 156-157).

აფხაზეთის სამთავროს საზღვრებში მოქცეულ აფხაზებსა და ჯიქებს ლეონ მეფის მიერ დანიშნული ერისთავი მართავდა. ჯიქეთი შემდეგშიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრებში შედიოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ჯიქეთი აფხაზთა სამთავროს შემადგენლობაში, შარვაშიძის მორჩილების ქვეშ აღმოჩნდა (ხანთაძე ქსე, XI, 1987).

ჩვენთვის ცნობილი პირველი ისტორიული წყარო, რაც საძ-ჯიქების ტომთა განკერძოებისაკენ სწრაფვის შესახებ მოგვითხრობს, არის ხობის მონასტრის ასომთავრული წარწერა, საიდანაც ირკვევა ჯიქეთში ოდიშის მთავარ ვამეყ დადიანის (1384-1396 წწ.) ლაშქრობის მიზეზი: „...მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვს, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უჰმარ იქმნა მათი სიმაგრენი. გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალით მოირჭმუნა, მრავალთა ჯიქეთს პატრონთაგან მიუვალნი მოარბივნა, რაოდენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა“ (თაყაიშვილი III, 1913-1914: 133).

პეტრუს ვესკონტის 1318 წლის, ძმები პიციგანების 1367 წლის, კატალანის 1375 წლის, პასკვალინის 1408 წლის, ბიანკოს 1436 წლისა და სხვა რუკებზე ჯიქეთი გაგრის ჩრდილო-დასავლეთითაა ნაჩვენები (Брун II 1880;).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჯიქები XVI ს-ის შუა ხანებისათვის ესწრაფვოდნენ თავიანთი სამფლობელოს გაფართოებას აფხაზეთის მიმართულებით – სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამის გამოძახილია გენუელი ჯ. ინტერიანოს ცნობა, 1551 წლისათვის, ჯიქების მდ. ბზიფამდე, აფხაზეთის საზღვრამდე განსახლების შესახებ (Монпере I, 1937: 24-25: ხორავა, 1998: 94). XVI ს-ის შუა ხანებიდან დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) საკათალიკოსო კათედრის ბიჭვინთიდან გელათში გადატანაც მკვლევართა ვარაუდით, თურქებისა და ჯიქების მოსალოდნელი ექსპანსიის შიშით უნდა აიხსნას (ლომინაძე I, 1966: 180; მისივე ქსე, II, 1977: 31:).

XV ს-ის ბოლოს (1490 წელს), მას შემდეგ, რაც საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია დაეცა და ბიზანტიის იმპერიის განადგურების შედეგად ქვეყანას სამხრეთიდან უაღრესად აგრესიული მაჰმადიანური ოსმალეთი დაუმეზობლდა, ჯიქები საბოლოოდ ჩამოშორდნენ საქართველოს და შეეცადნენ თავიანთი საზღვარი გაგრამდე გაეფართოვებინათ. ლ. ლავროვის ნაშრომზე მითითებით მკვლევარი ბ. ხორავა შენიშნავს, რომ ჯიქთა მიწები უშუალოდ გაგრის ვიწრობს იქით იწყებოდა (Лавров 1978: 41-47; ხორავა 1998: 94).

XV ს-ის 60-70-იანი წლებიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მტკიცედ ფეხმოკიდებულ თურქ-ოსმალთა წაქეზებითა და მხარდაჭერით გათამამებული საძ-ჯიქები იწყებენ ინტენსიურ ბრძოლას აფხაზეთის ტერიტორიების დასაპყრობად. ამ მიზნით ისინი აოხრებდნენ შავიზღვისპირა სოფლებს, ტყვეებად მიჰყავდათ და ოსმალებზე ყიდდნენ მოსახლეობას (გუჩუა IV, 1973: 87; მისივე IV,1973: 103; სვანიძე 1990: 151-153; ნარკვევები I, 1969: 133; ლეთოდიანი 2012: 120-121).

გვიან შუა საუკუნეებში, ერთიანი საქართველოს დაშლის პირობებშიც (კერძოდ, XVI-XVIII სს.) ჯიქები კვლავ ცდილობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ფეხის მოკიდებას. წერილობით წყაროებში დაცულია ცნობები იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) ხელშეწყობით, ოდიშის მთავარ მამია III დადიანისა (1512-1533 წწ.) და გურიის მთავარ მამია I გურიელის (1512-1534 წწ.) ჯიქეთში მოწყობილი ლაშქრობის შესახებ. ბრძოლა გამართულა 1533 წლის იანვრის მიწურულს („ქ. ცხ.“ II, 1959: 497).

ჯიქთა განსახლებისა და ეთნოგენეზისის შესახებ ჩვენ მიერ ზემოთ მოცემული ისტორიული მონაცემები აჩვენებს, თუ როგორ ეტაპობრივად იკაფავდნენ გზას მომთაბარე-მეჯოგე და წარმართული სარწმუნოების მიმდევარი აბაზურ-ადიღური ტომთაგანნი, ჯიქების სახით, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და იკავებდნენ გაბატონებულ მდგომარეობას თანამედროვე აფხაზეთის ზღვისპირა ტერიტორიაზე. ამის შედეგი იყო ის, რომ XVIII ს-ის I ნახევრისათვის ჯიქეთის საზღვარმა საქართველოს „სანაპირო ქვეჟნის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით, კაპეტის-წყალამდე (მდ. ბზიფი) მიაღწია.

საგულისხმოა აგრეთვე ვახუშტის მინიშნება ჯიქების ოდინდელი განსახლების შესახებ. სწავლული ბატონიშვილი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაზე“ მითითებით ჯიქეთად მიიჩნევს „ამ (ე. ი. შავიზღვისპირა – ი. კ.) ჯიქეთის ჩდილოთ კერძოს, კავკასიის მთის იქითს კერძს ზღუამდე“ (ვახუშტი IV, 1973: 786). ჯუანშერის თხზულების ჩანართში მართლაც არის დაცული ისეთი ცნობა, რასაც, საფიქრებელია, ეყრდნობოდა ვახუშტი: „...მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო“ („ქ. ცხ.“ I, 1955: 156). იმავე წყაროს ჩვენებით თურქთაგან განდევნილი პაჭანიკნი „დასავლით-კერძო“ წასულან, „ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (იქვე: 157).

ჯიქეთს არაერთგზის მოიხსენიებს ნიკო დადიანიც (დადიანი 1962: 80, 88, 151, 152, 154, 156, 175, 202, 211). საზღვრები მის თხზულებაშიც ისეა განსაზღვრული, როგორც ვახუშტისთან: „ჯიქეთის საზღვარი არს აღმოსავლით კაპეტის წყალი, დასავლით შავი ზღვა, სამხრით იგივე ზღვა, ჩდილოთ კავკასი“ (იქვე: 152).

დ. მუსხელიშვილი აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ბზიფზე არასოდეს უცხოვრიათ აფშილებს. შუა საუკუნეებში ბზიფს იქით ჯიქები ცხოვრობდნენ და ტერიტორიაც ჯიქეთად იწოდებოდა... მერმინდელი აბჟუის, ანუ კოდორსა და დალიძგას (და კიდევ იქით, გუმისთამდე) შორის მდებარე ტერიტორიაზე აფშილები მოსახლეობდნენ, ხოლო უფრო ჩრდილოდასავლეთით, ბზიფამდე, საკუთრივ აფხაზთა საცხოვრისი იყო. მაშასადამე, VIII საუკუნისათვის აფშილეთად იწოდებოდა გუმისთასა და ღალიძგას შორის, ხოლო აფხაზეთად – გუმისთის იქით მდებარე ტერიტორია (მუსხელიშვილი „არტანუჯი“, №10, 2000: 19).

გვიან შუა საუკუნეებში ოდიშის სამთავრო მშვიდობიანი საშუალებებით, ზოგჯერ სამხედრო ოპერაციების განხორციელების გზით, ძირითადად მაინც ახერხებდა კავკასიონის უღელტეხილებით იმიერკავკასიის მთიელი მოსახლეობის ცალკეული ნაკადების გადმოსვლის, შავიზღვისპირა ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების უაღრესად მტკივნეული და საშიში პროცესის გაკონტროლებასა და თავისი მმართველობისადმი მათ დაქვემდებარებას.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ოდიშის მთავრის ტიტულატურაში ჯიქეთსაც სათანადო ადგილი უჭირავს. ასე, მაგალითად, ვამეყ დადიანის მიერ 1660-1662 წლებში შედგენილ შეწირულების წიგნში ვკითხულობთ: „ღთისა მიერ ახალგვირგვინოსან მეყოველმან ლიხთიმრისა და ლიხთამრისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელმქონებელმან დიდმა მეფეთ მეფემან ხელმწიფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ... სრულიად საქართველო დავიჭირეთ...“ (კაკაბაძე I, 1921: 67).

ჩვენი აზრით, ტიტულატურაში ჯიქეთის მოხსენიება, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ დროის გარკვეულ (თუნდაც ხანმოკლე) მონაკვეთში ოდიშის სიუზერენის კომპეტენცია უდავოდ ვრცელდებოდა ისტორიული აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილოდასავლეთ ნაწილზე.

აფხაზეთის „ალანეთი“

საკუთრივ აფხაზეთზე მსჯელობისას ვახუშტი ცნობებს „აფხაზეთის ალანეთზეც“ გვაწვდის: „ხოლო ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩდილოთცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვთ სცან, ვითარცა სუანეთი. არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი. გარნა პირველ იყვნენ ქრისტეანენი და აწ კერპნი, და რომელიმე მოჰმადიანი და მისიცა უმეცარნი. ხოლო კავკასნი, რომელნი აღვსწერეთ ამ ადგილებთა შინა, კედელის კავკასის მთიდამ, ვიდრე ჯიქეთამდე, არიან ეგრეთივე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით, მყინვარებით და ყოვლითურთ. არამედ სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე წილნი და მეფეთა ქართველთა თ თ განიმკ დღეს, ვითარცა აღვსწერეთ“ (ვახუშტი IV).

მაშასადამე, მისი მონაცემებით, მდ. ბზიფს, შავ ზღვასა და კავკასიონს შორის მდებარეობდა ისტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მხარე „ჯიქეთის“ სახელწოდებით. მას აღმოსავლეთით სვანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით – ბედია და მცირე კავკასიონი („ბედია-ოდიშს შორისი“). ვახუშტი რუკებზე არასწორად უჩვენებს ალანის გეოგრაფიულ მდებარეობას. მას ათავსებს იმ ფანტაზიური მდინარის ხეობაში, რასაც „სუანეთის მდინარეს“ უწოდებს. აღნიშნული მდინარე ვახუშტის რუკაზე გაივლის სვანეთს და მხოლოდ ქვედა დინებით შეესაბამება მდინარე ბზიფს (მარუაშვილი 1997: 188).

ალანეთის მდებარეობას ვახუშტის მსგავსად გადმოსცემს ქართველი ისტორიკოსი ნ. დადიანიც (დადიანი 1962: 152). ამასთანავე, ნ. დადიანის ცნობით, „სვანეთს მზღვრის... დასავლეთით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი“ (იქვე).

VII ს-ის „სომხური გეოგრაფია“ გვაუწყებს, რომ დრაკონი „...მოედინება ალვანიდან (არა ალბანია) და განჰყოფს აფხაზეთს და ეგრის ქვეყანას“ (Патканов 1877: 25-26). მისივე ცნობით, ქალაქ სებასტოპოლისამდე და დრაკონამდე აფშილები და აფხაზები ცხოვრობენ. ეთნონიმი „ალვანი“ გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა ან ფონეტიკურად სახეცვლილი ალანი უნდა იყოს. მაშასადამე, დამოწმებული ცნობითაც, აფხაზთა და ეგერთა ქვეყნის საზღვრად მიჩნეული კოდორის სათავეებში მდებარე მისიმიანეთი ალანთა ხელში იყო (აფხაზავა 1991: 28). ეს ცნობა მიიჩნევა ადრეულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ალანთა ეთნიკური (?) შემოღწევის ჯერჯერობით ერთადერთ ფაქტად (იქვე: 29).

ვახუშტის აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ალანეთი აფხაზეთის ქვეყნის ის მხარეა, რაზეც კოდორი გაივლის ბზიფამდე, ანუ კოდორის ზემო წელის ტერიტორია; კონკრეტულად კი, ჩხალთის, კლიჩის, გვანდრისა და საკენის ხეობები, ანუ ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთი (მუსხელიშვილი II, 1980: 56). კოდორის სათავეები თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გულრიფშის მუნიციპალიტეტში შედის. აღნიშნული ისტორიული მხარე, რაც წებელდის ნაწილს შეადგენს, დალის ხეობის სახელითაა ცნობილი.

საიდან უნდა მომხდარიყო ალანების შემოსვლა კოდორის ხეობის ზემო წელის ტერიტორიაზე? წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ალანები ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-V სს-დან მაინც) ყუბანისა და მისი შენაკადების სათავეებში მოსახლეობდნენ (Алексеева 1971; Кузнецов МИА, №106;).

კოდორის სათავეებში ოდესღაც ალანოსთა ექსპანსიის მოწმობად დ. მუსხელიშვილი, ვახუშტის ცნობის გარდა, მიიჩნევს სოფ. ალანდას არსებობას მდინარეების – კლიჩისა და საკენის შესართავთან, სწორედ ბუქლოს//ბუკულუსის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად (მუსხელიშვილი II, 1980: 54-55).

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსისა და ვახუშტის ცნობები „ალანთა ქვეყნის“ შესახებ ნ. აფხაზავასაც აფიქრებინებს, რომ ალანთა გარკვეული ნაწილის ჩამოსახლება კოდორის ხეობის ზედა წელზე სრულიად რეალური სურათის ამსახველია. მკვლევარის აზრით, ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა კოდორის ხეობაში ხდება I-IX საუკუნეებში. ამასთანავე, მეგრულსა და სვანურთან ალანურის ენობრივი ურთიერთგავლენა სწორედ აქ, კოდორის ხეობის ზემო წელზე უნდა მომხდარიყო (აფხაზავა 1991: 29, 65).

ნ. აფხაზავა სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულმა ალანთა მეტ-ნაკლებმა მასამ შედეგად მოგვცა „აფხაზეთის“ ქვეყანა „ალანის“ სახით. ბერძნულ-ბიზანტიურიდან ნათარგმნი და ქართული წერილობითი წყაროებითა და ტრადიციით ეს „ქვეყანა“ „ალანად“ იწოდება და არა „ოსეთად“ (აფხაზავა 1991: 3-4, და იქვე მითითებული ლიტერატურა).

მკვლევარი მოგვიანებით, 1998 წელს გამოცემულ ნაშრომში კვლავ დაუბრუნდა „აფხაზეთის ალანეთის“ საკითხს და მასზე საინტერესო მსჯელობა შემოგვთავაზა. აფსილთა (აფშილთა) ეთნიკურ ვინაობასა და ენობრივ კუთვნილებაზე მსჯელობისას მან ყურადღება გაამახვილა ლინგვისტურ მასალაზე (ლექსიკურ ნასესხობებზე), რაც, მისი აზრით, მიუთითებს სვანურ-მეგრულის ინტენსიურ და ძველ ურთიერთობებზე ალანურ-ოსურთან ადრეულ შუა საუკუნეებში (აფხაზავა 1998: 7-8).

ვ. აბაევი შეეცადა მიახლოებით მაინც განესაზღვრა და დაეზუსტებინა მეგრელთა და ოსთა შორის შესაძლო კონტაქტების არეალი და ხანა. იგი იმოწმებს აკად. ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ასეთ ურთიერთობათა შესაძლებლობაზე და წერს: „По любезному осведомлению С. Н. Джанашиа, мегрелский элемент был распространен в прошлом по кодорскому ущелью нынешней Абхазии факт особой важности, если иметь в виду многовековое соседство осетин-алань с Абхазией“ (Абаев I, 1949: 329).

იგორ კეკელია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვალერი ხაბურძანია: ირაკლი ალასანიას ეგონა, ხელისუფლება მის წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავდა

უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია ყოფილი მოადგილისა და პროტეჟეს – ირაკლი ალასანიას ნაბიჯებსა და ქვეყანაში შექმნილ ვითარებას აფასებს.

– ბატონო ვალერი, როცა უშიშროების მინისტრი იყავით, ირაკლი ალასანია თქვენი პირველი მოადგილე იყო ორი წლის განმავლობაში. ელოდით თუ არა მისგან მსგავს ნაბიჯებს?

– პროცესები ისე ვითარდებოდა, რომ მოსალოდნელი იყო, ასე მომხდარიყო. აშკარად ჩანდა, რომ ირაკლი ალასანია თავისი პოლიტიკური ჯგუფით გამოყოფასა და ცალკე საქმიანობის დაწყებას აპირებდა. დღეს საქართველოში პოლიტიკა ძალიან ძვირი სიამოვნებაა. ცხადია, ყველა პოლიტიკოს ფული სჭირდება, თავდაცვის სამინისტროს კი დიდი დაფინანსება აქვს და იმთავითვე არსებობდა ვარაუდი, რომ იქ გარკვეული კორუფციული გარიგებები მიმდინარეობდა.

– დღეს ირაკლი ალასანიას მიმართ სერიოზული ბრალდებები ისმის. მეტიც, მის დაპატიმრებაზეც კი ალაპარაკდნენ. როდესაც ალასანია თქვენი მოადგილე იყო, თუ შეგიმჩნევიათ, რომ ის გარეული იყო რაიმე კორუფციულ გარიგებაში ან მაქინაციაში?

– იმხანად ასეთი დონის კორუფცია არ არსებობდა. რა ტენდერი უნდა გამართულიყო, როცა სამინისტროს წლიური დაფინანსება მხოლოდ 8 მილიონ 800 ათას ლარს შეადგენდა და აქედან მილიონ 800 ათასი სახელფასო ფონდი იყო?! წლის განმავლობაში მხოლოდ 2 მილიონი ლარი რჩებოდა ოპერატიული ხარჯებისთვის (იგულისხმება აგენტურაზე გაწეული ხარჯები, საწვავის, შუქის, გათბობის, საკანცელარიო და ა. შ.). პანკისში მყოფი სპეცრაზმის შენახვას დიდძალი თანხა სჭირდებოდა, რაშიც ცალკეული ბიზნესმენები გვეხმარებოდნენ.

– ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სამინისტროში არსებობდა კორუფციული გარიგებები, მათ შორის, უშიშროებაშიც?

– დიახ, იმხანად უშიშროებისა და სხვა სამინისტროებიც კორუფცირებული იყო. მიხეილ სააკაშვილის მინისტრობის პერიოდში იუსტიციის სამინისტროც იყო კორუფციაში ჩაფლული. მეტიც, სააკაშვილმა ეს კორუფცია უფრო დიდ თანხებამდე გაზარდა, უფრო ელიტური გახადა. არ ვიცი, შეიძლება თუ არა შედარება და თქმა, რომელი ჯობდა, მაგრამ, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ჩვენი პერიოდის კორუფცია უფრო სამართლიანი იყო.

– ახლახან ერთ-ერთ რუსულ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადეთ, ირაკლი ალასანია იმაზე მეტი ამერიკელია, ვიდრე თვითონ ამერიკელებიო. ალასანია

თქვენი პროტეჟე იყო. თქვენ კი მისგან სრულიად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და ხედვა გაქვთ. რატომ აირჩიეთ მკვეთრად პროდასავლური ორიენტაციის მქონე ალასანია, რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

– როდესაც უშიშროების მინისტრი ვიყავი, ჩემი საგარეო პოლიტიკური ხედვები ასე მკვეთრი და გამიჯნული არ იყო. *ვფიქრობდი, რომ საქართველოში შესაძლებელი იყო ამერიკელებისა და რუსების ინტერესების დაბალანსება. როდესაც უშუშროების მინისტრი გავხდი, დავიწყე კიდეც ამ მიმართულებით მუშაობა და ვცდილობდი „ოქროს შუალედის“ დაჭერას. სწორედ ამიტომ მოვიყვანე სამინისტროში ირაკლი ალასანია, რომელიც ვიცოდი, რომ, პირდაპირ ვთქვათ, ამერიკელების კაცი იყო.* რაც შეეხება რუსულ მიმართულებას, ამ მხრივ თვითონ ვაპირებდი მუშაობას.

უნდა ითქვას, რომ გარკვეულ ეტაპზე ეს შევძელი კიდეც, მაგრამ პანკისის შემდეგ ყველაფერი ცუდად შემომიტრიალდა და *ჩემ წინააღმდეგ დაიწყო შეტევა, თითქოს მე რუსეთის ინტერესებს ფართოდ წარ-*

დღეს საქართველოში მოქმედებენ გარკვეული ძალები, რომლებიც ყველას აშინებენ, რომ რუსეთისგან საფრთხე გველოდება, რაც სიცრუეა

მოვადგენდი სამინისტროში. ამ ბრალდებით პირდაპირ მომმართა აშშ-ის ელჩმა, რომელმაც შეხვედრა-დემარში მომიწყო. იმავე პრეტენზიით მომმართავდა ხოლმე ამერიკელების ერთი რეზიდენტი, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. მეუბნებოდა, რუსეთის ინტერესების შესაბამისად იქცევი და არ მომწონსო. ამ ბრალდებებს ფარულად და ზოგჯერ ღიადაც მხარს უჭერდა ირაკლი ალასანია.

– 15 ნოემბრამდე, „ნაციონალების“ აქციამდე რამდენიმე დღით ადრე, თავდაცვის მინისტრის მხრიდან რამდენად მართებული იყო ამგვარი განცხადების გაკეთება და თქვენი, როგორც უშიშროების ყოფილი მინისტრის, პროგნოზით, რა საფრთხეების წინაშე დგას დღეს საქართველო?

– 15 ნოემბერი, – და „ნაციონალები“ თავისთავად,– საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. ყველა ღონისძიება (მათ შორის, ალასანიას გადადგომაც), რომელიც შეიძლება „ნაციონალებმა“ სათავისოდ გამოიყენონ, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის. ვფიქრობ, ალასანია თავიდანვე ჯიუტობდა, როდესაც მის სამინისტროში არსებული კორიფციის შესახებ აფრთხილებდნენ. მან წაუყრუა ამ ყველაფერს; ირაკლი ალასანიას ეგონა, ხელისუფლება მის წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავდა, ხოლო, როდესაც ფაქტის წინაშე დააყენეს, უპასუხისმგებლო, ემოციური ნაბიჯები გადადგა და შემდგომში ეს ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა – პრემიერმა ალასანია თანამდებობიდან დაითხოვა.

საერთოდ, ეს 15 ნოემბერი „საჯილდაო ქვად“ იქცა. *თუ „ნაციონალებმა“ სისხლიანი პროვოკაციები არ მოაწყვეს, მათი გამოსვლები ქვეყანას დიდ საფრთხეს ვერ შეუქმნის.*

– ყოფილმა თავადაცვის მინისტრმა მთავრობა საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაში დაადანაშაულა. როგორ ფიქრობთ, „გადაუხდიან თუ არა სამაგიეროს“ ირაკლი ღარიბაშვილს ალასანიას გათავისუფლების გამო?

– თუ ირაკლი ღარიბაშვილმა ვერ მოახერხა ირაკლი ალასანიას ჩანაცვლება და ალასანიას ლობის ახლა უკვე მის წინააღმდეგ მოქმედების ნეიტრალიზება, რა თქმა უნდა, მას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა გაურთულდება. ვინაიდან *დღეს საქართველოში ამერიკელებს ოთხი ძირითადი დასაყრდენი ჰყავთ: არასამთავრობო სექტორი, რომელიც მთლიანად მათია, ბოკერია-სააკაშვილის ჯგუფი, ალასანიასა და რესპუბლიკელების ჯგუფი. სწორედ მათი მეშვეობით ექმნებათ წარმოდგენა საქართველოს დღევანდელი მთავრობაზე (მათ შორის ღარიბაშვილზე).*

დღეს ირაკლი ღარიბაშვილი, ფაქტობრივად, იმ პრობლემების წინაშე დგას, რომლებიც მქონდა ჩემი მინისტრობის ბოლო პერიოდში – გარკვეული მიზეზების გამო, ამერიკელები „თავიანთ კაცად“ ვერ აღმიქვამდნენ. ასეთივე *პრობლემები შეიძლება შეექმნას ღარიბაშვილს, თუ მან ამერიკის ხელისუფლებასთან პირდაპირი კავშირის მოძებნა ვერ მოახერხა, მის წინააღმდეგაც დაიწყება ევროპისა და ამერიკის მხრიდან პრეტენზიების წაყენება და დადანაშაულება პრორუსულობასა და არადასავლურობაში*, რამაც შეიძლება ღარიბაშვილის ხელისუფლებას სერიოზული სირთულეები შეუქმნას.

– ღარიბაშვილის განცხადებით, „ირაკლი ალასანია ჩადიოდა ევროპასა და ამერიკაში და ღიად აცხადებდა – სააკაშვილის დროს მიღწეული რეფორმები იყო სამაგალითო!“, რატომ უნდა მოქცეულიყო ასე ალასანია?

– ამით იგი ერთგვარ დიპლომატიას აწარმოებდა ამერიკელების მიმართ. ალასანიას ჰყავს ბევრი ამერიკელი დამრიგებელი და მათ დავალებებს კარგად ასრულებდა. ეს მოულოდნელი არ არის მისგან.

ალასანია თამაშობდა. ის არბილებდა სიტუაციას ამერიკელებთან, მაგრამ, ამასთანავე, ხელისუფლებასთან თავს „ნაციონალებთან“ მებრძოლ პოლიტიკოსად წარმოაჩენდა, არადა, ასე არ იყო.

ეს ვითარება ძალიან მაგონებს ჩემს სიტუაციას უშიშროების მინისტრად მუშაობის პერიოდში, როდესაც ჩემი საქმიანობის შესახებ დიამეტრულად განსხვავებულ ინფორმაციას აწვდიდნენ ამერიკელებს, განსაკუთრებით – რუსებთან ურთიერთობისა პანკისში არსებული ვითარების თაობაზე.

– დაახლოებით ერთი წლის წინათ განაცხადეთ, რომ პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის ძალების გაერთიანებას აპირებდით. კანდიდატებიც დაასახელეთ – ნინო ბურჯნაძე, კახა კუკავა და ზურაბ ნოდაიდელი. რატომ ვერ განახორციელეთ ეს გეგმა?

– ეს, უბრალოდ, სურვილი იყო... დღეს საქართველოში მოდურია, რომ პოლიტიკური ძალა იყოს პროამერიკული. სხვა ძალები, ფაქტობრივად, არ არსებობენ. მაგალითად, საერთოდ არ არსებობს ცენტრისტული ნაციონალური ძალები ან თუ არსებობენ, ერთი-ორი პიროვნებით არიან წარმოდგენილები და არავითარი გავლენა არ აქვთ. ასევე, არსებობს პოლიტიკური ძალები, რომლებიც აქტიურად ისაუბრებდნენ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენაზე. ვფიქრობ, რომ ამ ძალების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს. ამას მე გავაკეთებ თუ სხვა, მნიშვნელობა არ აქვს, სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლას დიდძალი ფული სჭირდება ამის შესაძლებლობა კი ჯერჯერობით არ არსებობს. თუ თვითონ ამ ძალებმა არ მოახდინეს კონცენტრაცია, ბიზნესმენებმა, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობენ ამისთვის თანხები არ დახარჯეს, ვფიქრობ, ამ ძალების კონსოლიდაცია გაჭირდება.

დღეს საქართველოში მოქმედებენ გარკვეული ძალები, რომლებიც ყველას აშინებენ, რომ რუსეთისგან საფრთხე გველოდება, რაც სიცრუეა. რუსეთს საქართველოსთვის არ სცალია და, თუ ქვეყნის შიგნით რამე მოხდება, ეს ისევ იმ პროდასავლური ძალების მიერ იქნება პროვოცირებული, რომლებიც სწორედ რუსეთის მიმართ აგრესიის გამოვლენითა და ანტირუსული პროპაგანდით არსებობენ.

ესაუბრა შორენა ცივჭარაშვილი

ალექსანდრე ჭაჭია: თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით!

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ «უმცირესობათა უფლებების» დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავიღუპებით.

– როგორ შევაჩეროთ გეიკულტურის აგრესიული შეტევა, თუ ამ თემაზე ასობით კინოფილმს იღებენ, ათასობით მხატვრული ნაწარმოები ქვეყნდება, მსოფლიო შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები თავიანთი ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენენ?..

– რა თქმა უნდა, წიგნების გამომცემლების, ტელეარხების, კინოგაქირავების სინდისსა და ეროვნული გრძნობების იმედად ყოფნა უაზრობაა, რადგანაც ამის უკან დიდი ფული დგას. საჭიროა ცენზურა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს. სახელმწიფო ვალდებულია, ერის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე იზრუნოს, ვალდებულია, დაიცვას ახალგაზრდა თაობა ეროვნული მსოფლმხედველობისთვის უცხო ტენდენციებისა და გავლენებისგან, თუნდაც ისინი თანამედროვე ევროპული და ამერიკული კულტურის ნაწილი იყოს. ბუნებრივია, საუბარი არაა ჰომოსექსუალთა მიერ შექმნილ ნაწარმოებთა აკრძალვაზე. ჩვენ – ყველას წაგვიკითხავს მარსელ პრუსტის, სომერსეტ მოემის, ვირჯინია ვულფის რომანები, რემბოსა და ვერლენის ლექსები, მოგვისმენია ელტონ ჯონისა და ფრედი მერკურისთვის, მაგრამ მგონია, მცირე ნაწილი თუ დაფიქრებულა მათ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამაგიეროდ ამერიკელი ვიდალ გორი ასევე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ მისი რომანები პედერასტიის ღია პროპაგანდაა. ასეთი ნაწარმოებები არ უნდა ხვდებოდეს წიგნის ბაზარზე.

– არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება მზად იყოს, საკუთარ თავზე აიღოს ეს ფუნქცია. აი, მაგალითიც: 17 მაისს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაგმეს საზოგადოების რეაქცია, მოუწოდეს მას ტოლერანტობის, მოთმინებისა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემისკენ.

– ეს ბუნებრივია, თქვენ ხომ ნახეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის რეაქცია. ამიტომაც ვამბობ, რომ პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება. საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური კონსოლიდაცია. არ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას შესწევს თუ არა მსგავსი კონსოლიდაციის უნარი, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ერთის მხრივ, აიძულო ხელისუფლება, დაიცვას ერი გახრწნისგან; მეორე მხრივ კი, ხელისუფლებას მისცეს კოზირი ამერიკელ პატრონებთან ურთიერთობისთვის: რაკი ხალხი ერთსულოვნად წინააღმდეგია, მის მოსამზადებლად დრო მოგვეცითო. ამან შეიძლება იმუშაოს.

ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალთა“ მმართველობისგან გვიხსნა და ხალხი ამისათვის მისი მადლიერია. ხალხი მას ენდობა და ბუნებრივია, რომ მოთმინებით ეკიდება მის გაუგებარ პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ სრულიად მიუღებელ საკადრო დანიშვნებს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისთვის უნდოდა, რათა საქართველოში არ ჩატარებულიყო გეიაღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლო სტრუქტურებს დაეცვა ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობისთვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისთვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება. «ქართული ოცნება» ამას დაგვპირდა, ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით ხალხი მოლოდინისა და იმედის რეჟიმშია.

უშენოდ, ახლა, მართლა ძნელია...



პოეტ, ვასილ ბესელიას შემოქმედებას დიდი ხანია თვალს ვადევნებ. მისი კრებული რამდენჯერაც წავიკითხე, იმდენჯერ გამიჩნდა აზრი, რომ იგი საოცრად გრძნობს ქართული სიტყვის ძალასა და ზღვარდაუდებელია მისი სულიერი აქტივობის წადილი. კოლხური ხიბლი და მეგრული სიმკვირცხლე უზარმაზარი კარიბჭეა, რომელსაც მხოლოდ ერთი გასაღები აღებს. ეს კარიბჭე რწმენა, იმედი და ტრფობაა. პოეტის მთავარი მიზანია ბუნების საოცრებათა და ადამიანის შინაგანი სამყაროს შერწყმა. დიდ გოეთე გვმოძღვრავს, რომ „შეუძლებელია ბუნება და იდეა ისე მოსწყვიტო ერთმანეთს, რომ ხელოვნება, როგორც სიცოცხლე დაირღვეს“-ო. პოეტი ახერხებს ზუსტად მორგებული სიტყვათა მოხმობით გადმოსცეს საკუთარი ემოცია და დამოკიდებულება მოვლენებისა თუ აღსაქმელი, სამყაროსადმი. მისი ლექსები თავისი ჟანრით, პოეტური შინაარსითა და გამოხატულებით, თანამედროვეა და ეს ანიჭებს სიმძაფრესა და მკითხველში იწვევს მოწონებას.

„იმნაირად გალობს, დამბურძგლა ტანში,
ამაცერცეტა დილაადრიან...
ამ შაშვს რომ ახლა დავუკრა ტაში,
შვილიშვილები გიჟად ჩამთვლიან“.

ამ სტროფებში არის გადმოცემული რეალობა და ჩაქსოვილია გარკვეული ირონიაც. რატომ უნდა გამოიწვიოს შაშვის გალობაზე ტაშის დაკვრამ გაოცება? მაგრამ, შესაძლებელი ხომ ყველაფერია. ამგვარი პასაჟები ერთეული როდია. მაგიდაზე მიდევს ვასილ ბესელიას, 1990 წელს გამოცემული პირველი ლექსების კრებული „წვიმიანი მაისი“, ვახტანგ ხარშილავას რედაქტორობითა და პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობით, რომელშიც ვკითხულობ:

„ჰაერივით მკლავდა ბედი, უბედობის
ასთმა მქონდა,
დარდი მქონდა თმაზე მეტი, თუმცა
ბევრი არც თმა მქონდა“.

ამ უშუალო და მხატვრულ გარდასახვაში, იგრძნობა ძალიან ნაღდი, სინოყიერე და ამასთან პოეტური ნიჭიერება, რომელიც შერწყმულია ქართული ენის უშრეტ ბარაქიანობასთან. რა ღრმაა და ზუსტი სიტყვის იარაღი? არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ ის გახლავთ გემოვნებიანი ოსტატი. სათქმელის გადმოსაცემად, რეალობის დასახატად, კვლავ ირონიის უშრეტ შესაძლებლობას მიმართავს.

თუმცა ყველა ლექსში ფაქიზად ეპყრობა სიტყვას, გულმოდგინედ კაზმავს თითოეულ აბზაცს. ამას ქვია მხატვრული აზროვნების მაღალი კულტურა. ქართული სული და ეროვნული პათოსი მის არსებაში უშრეტია. ყოველთვის ცდილობს სულისმიერი ძალები გამოიყენოს ამისათვის.

„აღმაფრენა სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ შთაგონებულია და არ მშვიდდება მანამდე, სანამ მხატვრულ სახეს არ გამოჰკვეთს, არ გამოჩარხავს და სრულქმნის მას“,– გვასწავლის ფილოსოფოსი ჰეგელი. შთაგონებით აღმაფრენა მუდმივად იგრძნობა ვ. ბესელიას შემოქმედებაში. ეს გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებებით. ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლესაც კი უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ის არის მარადიული სკოლა.

„შეწევნით უფლის, მორწმუნის გეშით,
ჩავაღწევ მაინც წვალებით ლეთას,
მიმაქვს სიცოცხლე, ნაკლული პეშვით
და თითებიდან წამები წვეთავს“.

რა უშუალოა და მაცოცხლებელი. აი, კიდევ:

„შიშინებს წვიმა, თბილი და მშვიდი.
შენზე ვფიქრობ და ფიქრითაც ვცოდავ,
ალბათ შენ გაგყვა ტკივილი დიდი, მე
ამიტომ დამრჩა ტკივილი ცოტა“.

სიცოცხლის ფილოსოფია მუდამ დიდ გავლენას ახდენდა ესთეტიკურ აზროვნებაზე. სწორედ ამ ფენომენის ფონზე მიმდინარეობდა ხელოვნებაში ღირებულებათა გადაფასება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრებები – რაციონალიზმმა და სულიერებისაგან დაცლილმა პრაგმატიზმმა გამოფიტა ადამიანის შემოქმედებითი სამყარო და დაშრიტა მისი ფანტაზიაო, რეალობას მოკლებული მგონია. ყავდა და დღესაც ყავს საქართველოს ნიჭიერი, ფანტაზიამოჭარბებული შემოქმედნი, რომელთაც გათავისებული აქვთ, რომ „მხოლოდ სიბნელით გამოწვეული ტანჯვა გადააქცევს სინათლის წყურვილს ჭეშმარიტ სინათლედ“.

„გადამიყოლა სიცოცხლემ დღემდე, და სიკვდილისთვის ვერ მოვიცალე,– აცხადებს პოეტი. იგი რეალისტური მანერის მხატვარია, სამყარო, რომელსაც ის წარმოსახავს, არსებითად რომანტიკულია.

„შენ დგახარ ჩემთან, სიკვდილზე რთული
და უფრო იქით, სიცოცხლის მიჯნის...
დამდგარა ჟამი გაუხსნელ გულის
და ხელუკუღმა დამხობილ ფინჯნის“.

იშვიათად შემხვედრია პოეტი, საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმს, ნიჭსა და შემოქმედებით შესაძლებლობებს, ადამიანთა ურთიერთობებსა და მათდამი დამოკიდებულების მრავალფეროვნებაზე ხარჯავდეს. სამყაროში ბოროტებისა და სიკეთის, სიყვარულისა და სიძულვილის ფონზე უმღერის მეგობრობას, ადამიანურ გულწფელობასა და სიყვარულს. განთავისუფლებულია მოძველებული, მაღალფარდოვნებისა და მშრალი ბუტაფორიებისაგან, რომლის ტყვეობაში ბევრი შემოქმედი აღმოჩენილა.

„რატომღაც ნელთბილ სინანულს
მმატებ,
ო, ღმერთო ჩემო, რა იყო მაშინ...
რა სიყვარულის სიგიჟით გხატე,
სიზმარში, ფიქრში, მიწაზე, ცაში...“

სიცოცხლე და ტრფობა ერთმანეთით არსებობენ. მიჯნურობა მუდამ მთავარი ელექსირია ორი სქესის დაახლოებისა და კეთილგანწყობისა, თუ პირიქით: „ბედნიერება საბოლოო ჯამში დამოკიდებულია არა იმაზე, რაც გარეთაა, არამედ იმაზე რაც ჩვენშია, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმაზე რაც მატერიალურ სამყაროზე აგვამაღლებს, რასაც ძალუძს აღმასვლა“. გრძნობს ამას პოეტი და საკუთარი აღქმის უნარით ასე გამოხატავს დამოკიდებულებას ამ მარადიული გრძნობისადმი .

„წავეკიდები, მგონია, ცეცხლად, შენს მკერდს, შენს ტუჩებს, დაფერფლილ ღაწვებს,
ასე ოთახში დამწყვდეულ მერცხალს,
სწადია – ფანჯრის მინაში გაძვრეს...“

პოეტის მხატვრული გარდასახვა არ არის მხოლოდ პოზა, მხოლოდ ახალგაზრდული გამოწვევა პოეზიის იმ ტრადიციული გაგებისადმი, რომელიც მის პირველ კრებულშია გადმოცემული. იგი ეხმიანება ქართულ ლირიკაში დამკვიდრებულ მიმდინარეობებს. მაგრამ არ გამხდარა „ასლი“ „სხვათა მსგავსი“ და „მიმბაძველი“. ცნობილია, პოეტური სიჭარმაგე თანდათან მოდის. რაც აშკარად ეტყობა მეორე კრებულს. აი, რას შეუძახებს საკუთარ თავს:

„გზები ოკრობოკრო შემაძულა
და ცივი ქარებივით გადავარცხნა,
სიბერე მოვიდა გველაძუა,
მნახა და დამამარცხა“.

ასევე გრძნობითაა ნათქვამი:

„უკვე, განსხვავებულ ჭიქით ფრთხები,
სულში შემოდგომის გემო არის,
ისე მოსაწყენად იკითხები,
როგორც წაკითხული მემუარი“.

საქართველომ მითაჟამიდან მოყოლებული, უკანასკნელ ოცწლეულის ჩათვლით, უამრავი უბედურება იწვნია. სამშობლო და წინაპრების მონაპოვრის დაცვა, ეს იყო არა ერთი თაობის მამოძრავებელი ძალა. ახლაც სიფხიზლე და დღენიადაგი ცდაა საჭირო, მუდმივი მზადყოფნა, ერის სულიერ ნაღვერდალში, ნაპერწკალის აალება და ისე გაღვივება, რომ მუდმივად გვახსოვდეს დედა სამშობლო და თავისუფლების ფასი. ამ თემის გაშუქებაში მოკრძალებულია ავტორი:

„შენ გაგყოლია სიზმარი ჩემი,
და დაქანცული სულის გოდება,
ვარ ქარიშხლებით დაღლილი გემი,
გაამინდებას, რომ ელოდება“.

თუმცა, წინაპრებისა და მათი ღვაწლი დაფასებაში მისაბაძია. თავის დროზე საქართველოს პატრიარქმა, წამებულმა ამბროსი ხელაიამ ბრძანა: „ხალხს აქვს მოთხოვნა ეძებოს იდეალები თავის წინაპრების ცხოვრებაში“. დიახ, ნებისმიერი ადამიანი ერთ დროს უკან მოიხედავს და თვალს გადააავლებს საკუთარი უახლოესი ნათესავისა თუ ერის წარსულს. არც ვ. ბესელიაა გამონაკლისი:

„დაბერდა შენი „ბებოს იმედი“
და სიბერეშიც ზმანებად ჩამყვა:
კლასელი გოგო, ველოსიპედი.
ხმელი ჭადი და ბაბუს ჯაყვა“.

გამორჩეულად აღნიშვნის ღირსია პოეტის დამოკიდებულება მშობლიური სოფლისადმი. იმ ადგილისადმი, სადაც დაიბადა, სადაც, მოევლინა ქვეყანას მისი შვილები, სადაც ცხოვროს მისი ოთხმოცდაათ წელს მიტანებული საყვარელი დედა და თანასოფლელები.

„თუკი დღეები ისე მიჰქრიან,
სულში არ გრჩება დარდის მშვენება,
თუ ერთხელ მაინც არ გიფიქრია
– უდედოდ ნეტა რა მეშველება“.

ნოსირი, ტეხური და „ოდაბადე“, აი სამად შეკრული ღვთაება, რომელზე უფრო თბილი, საოცნებო და მისაფერი არაფერი ქვეყანაზე. ამიტომ იყო თითქმის ორი ათეული წელი ედგა სათავეში სოფლის გამგეობას და ისე დაიხარჯა, როგორც ნამდვილ მზრუნველს ეკადრება. სწორედ ამის დასტურია თბილისში დაწერილი ლექსი ნოსირზე:

„თუ პანთეონის ვარდისფერ აღმართს,
ვერც ნიჭით შევწვდი, ვერც – სხვა არხებით...
იმ წყალს უკანვე ავყვები აღმა
და სათავესთან დავიმარხები“.

ამჟამად ვასილ ბესელია რაიონის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურს უდგას სათავეში. საკუთარ გამოცდილებასა და ნიჭს, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას ახმარს. წარმატებას ვუსურვებ ნიჭიერ ადამიანს შრომით და შემოქმედებით საქმიანობაში.

„და შენ სიცოცხლევ,
ხან სასოების დგახარ თავდებად...
მადლობელი ვარ – მე რომ ვთავდები
და სიყვარული რომ არ თავდება“.

ბორის დავითაია,
მწერალი, აკაკი წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

ძვირფასო მეგობრებო!

როგორც თქვენთვის ცნობილია, უახლოეს პერიოდში ჩვენ საინიციატივო ჯგუფის სახელით ვაპირებთ საქართველოს მივმართოთ გარკვეული ინიციატივებით და როგორც მოსალოდნელი იყო არის მცდელობა ჩვენი დეზორიენტირებისა და არჩეული კურსიდან გადახვევის იძულებისა... ამჟამად, ჩემთვის ერთგვარად მოულოდნელი იყო ის, რომ ერთერთმა პიროვნებამ, რომელმაც თავის დროზე დაალაიქა მიმართვის ტექსტი, ის კი არადა, პირადად მომწერა – მისი ასაკის პატივისცემის გათვალისწინებით ხელმომწერთა შორის მთლად ბოლოში არ მიგვეწერა მისი სახელ-გვარი... უხერხულიაო – მომწერა სიტყვასიტყვით... ღმერთო ჩემო, თუმცა, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ... ახლა კი, აქ ცდილობს დაპოსტოს საკუთარი თუ სხვისი მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ჩვენი ინიციატივა უაზრობაა, რომ ეს არ არის მთელი სამეგრელოს აზრის გამოხატულება და ა. შ...

კი მაგრამ ჩვენ არც გვაქვს იმის პრეტენზია თითქოს ყველას აზრს გამოვხატავდეთ... ჩვენ ვართ საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია მიმართვაში დაფიქსირებული ინიციატივების რეალიზება... ეს არის და ეს! ახლა, თუ ვინმეს აქამდე გააჩნდა ან ახლა გაუჩნდა ალტერნატიული მოსაზრებები – კი ბატონო! ყველას შეუძლია იმოქმედოს მისთვის მისაღები გზით, ტაქტიკითა და სტრატეგიით! ჩვენ მონოპოლიზებული კი არ გვაქვს მეგრულ იდენტობაზე ზრუნვა... ასე რომ... მინდა მივმართო ზოგიერთებს: მიდით და წარმატებები ბატონებო თქვენს ყველანაირ, ოღონდ... მამულიშვილურ და გონივრულ გარჯაში!

ჩვენ კი, ვიმოქმედებთ ისე, როგორც ეს მიგვაჩნია მიზანშეწონილად და არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ გადავუხვევთ ერთიანი, ზოგადეროვნული და ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესებიდან!

იმედი მაქვს წინაპართა სულები დაგვეხმარებიან და არ მიგვატოვებს უფალიც ჩვენს სამართლიან ბრძოლაში!

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა
“სამეგრელოს” ზუგდიდის
ოფისის ხელმძღვანელი

ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

ღია მიმართვა

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისში, გასული წლის 21 იანვარს, აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურის თაობაზე, ზუსტად ერთი წლის წინ აღძრული საქმის გამომძიებელს, ბატონ პაატა დარასელიას... (ჩემი ფეისსამეგობროს წევრს)

ბატონო პაატა, იქნება დამდოთ პატივი და საჯარო სივრცეში მაინც გამაგებინოთ თუ როგორ წარიმართა გამოძიების საქმე... ახლა, რომ გითხრათ – დიდად მანაღვლებს ეს საკითხი და ერთი წელია ამაზე ფიქრში და დარდში გავთავდი კაცი-მეთქი – ტყუილი იქნება... მაგრამ, მაინც უპრიანია თქვენი გარჯის შედეგის თაობაზე მცირეოდენი რამე მაინც მაუწყოთ...

გელოდებით ჩემო ბატონო...

ზურაბ კვარაცხელია
14.02.2015წელი (ფეისბუქი)

ამბები სამეგრელოდან

მარტვილელთა წარმატება უშუს საერთაშორისო ტურნირში

ახლახან, ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში (წარმოდგენილი იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის და პაკისტანის ქვეყნები), სადაც მონაწილეობა მიიღო მარტვილის კომპლექსური სასპორტო სკოლის უშუს ჯგუფის 9 სპორტსმენმა (მწვრთნელი დათა წულაია). აღნიშნულ ჩემპიონატზე პირველი ადგილის მფლობელი გახდა ოთიკო კეკუტია, მეორე ადგილზე კი გავიდა საბა წულაია, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

სახარბედიოს წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

მიმდინარეობს მენჯის თემში სახარბედიოს წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტზე მუშაობა. აქვე იგეგმება სკვერის მოწყობა რეკრიაციული ფუნქციისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტით, გარე განათების მონტაჟით. როგორც სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ აღნიშნა: ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეიქმნება სოფლის ნაწარმის რეალიზაციის პირობები. პროექტის რეალიზების შემდეგ სენაკელთათვის განსაკუთრებულად საყვარელი ადგილი სულ სხვა დატვირთვას და მრავალმხრივ ფუნქციას შეიძენს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს

ჩვენი გულწრფელი სურვილია დაბარწმუნოთ იმაში, რომ, თუ ვინმე ავისმოსურნეს აქვს განზრახვა – მეგრული ენა გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაშინ ჩვენც შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ იმავე მეგრული ენის ფაქტორი ეფექტურად გამოვიყენოთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის სასარგებლოდ... მავანთ კი, ამით ნამდვილად მოესპობათ მეგრულ ენაზე „ზრუნვით" მანიპულირების შესაძლებლობაც!

მიმართვა

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე,
პატივცემულო დეპუტატებო,

ამ ბოლო დროს, მედიის საშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს მიერ არაკონტროლირებად გალის რაიონის ტერიტორიაზე ადგილობრივი დე-ფაქტო ხელისუფლება აპირებს მეგრულენოვანი ტელემაუწყებლობის გახსნას. ამავე დროს იუწყებიან იმასაც – თითქოს, სექტემბრიდან სკოლების დაწყებით კლასებში მეგრული ენის სწავლების, როგორც სასწავლო საგნის შემოღებასაც... ბუნებრივია, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერანაირად ვერ დარჩება ჩვენი ყურადღების მიღმა და პირდაპირ ვიტყვით, რომ საკითხი გახლავთ უაღრესად სათუთი და ის აუცილებლად საჭიროებს საქართველოს ხელისუფლების, ასევე, საზოგადოებრიობის მხრიდან ადექვატურ შეფასებას და გარკვეული ქმედითი ნაბიჯების გადადგმას...

ჩვენი მხრიდან კი, გვსურს ხელისუფლებას მივმართოთ შემდეგი ინიციატივით: ვინაიდან, ფაქტია, რომ გლობალიზაციის პირობებში არსებობს უაღრესად სახიფათო გამოწვევები და ერთ-ერთ ასეთ გამოწვევად საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევს იდენტობის დაკარგვის საშიშროებას, ხოლო ამ იდენტობის ყველაზე დიდი გამოხატულება გახლავთ ენის ფაქტორი – მიზანშეწონილად ვთვლით საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლებამ მიიღოს უაღრესად ეროვნულ-სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება და მინიმუმ ქვეყნის რამოდენიმე ქალაქში: ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ქუთაისში და რა თქმა უნდა ასევე თბილისშიც – გახსნას მეგრულენოვანი რადიო-ტელემაუწყებლობები. უმნიშვნელოვანეს და აუცილებლად განსახორციელებელ საკითხად მიგვაჩნია საქართველოს სკოლებში მეგრულ-ლაზური და სვანური ენების სწავლების შემოღებაც... საერთოდ კი, დაუყონებლივ გადასაწყვეტი და საშური საქმეა – სახელმწიფოს მიერ შეიქმნას ისეთი სპეციალური სტრუქტურა, რომელიც თავის მხრივ ჩამოაყალიბებს პროგრამას, სადაც სრულყოფილად და კომპეტენტურად იქნება ასახული იმ კომპლექსური ღონისძიებების ნუსხა, რომლის რეალიზებაც შეუქცევადად უზრუნველყოფს მეგრულ-ლაზური, სვანური და ზოგადქართველური თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნებას... აი, ასეთი ღონისძიებების გატარებით შევძლებთ ჩვენ თვითმყოფადობის დაცვას და ამავდროულად თუ კი, არსებობს, რამე სახის საშიშროება კორდონებს იქიდან სეპარატიზმის სტიმულირებისა – მის უეჭველ პრევენცირებასაც. აი, ასეთი მიდგომით და საშუალებებით გავუწიოთ უნდა პროპაგანდა ერთიანი, კოლხურ-იბერიული, ქართველური სახელმწიფოს იდეას. კვლავ გვინდა ხაზი გავუსვათ: იმავე კორდონებს იქიდან თუ მართლა ველოდებით რადაც საშიშროებას, მაშინ ისიც კარგად უნდა ვუწყოდეთ, რომ ამ საშიშროებას გაანეიტრალებს მეგრულ-სვანურ-ზოგადქართველური იდენტობის დასაცავად შექმნილი მექანიზმები. თუ პატრიოტები ვართ – სწორედ, ამგვარი მამულიშვილური სულისკვეთებით და გულწრფელი ზრახვებით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს. მტკიცედ გვწამს, რომ საქართველოს ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურების და საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევით ზოგადეროვნულ, ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტშია ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი და არავითარ შემთხვევაში გულზე მჯიღის ცემით ან ურაპატრიოტული რიტორიკით!.. უფლის მადლით და წინაპართა წყალობით ასე თუ ისე აქამდე შემოგვრჩა ფასდაუდებელი საუნჯე ჩვენივე ენობრივი ტრიადის – მეგრულ-ლაზურის, სვანურის, საკუთრივ ქართულის სახით და ვალდებული ვართ საკანონმდებლო გარანტიებით და მექანიზმებით ვიზრუნოთ მის დაცვა-განვითარებაზე! აქვე, ვაცხადებთ, რომ ინსინუაციები ამ ჩვენს ინიციატივაზე აპრიორულად და კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის! კვლავ და კვლავ გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ: მოტივირებულნი ვართ მხოლოდ და მხოლოდ ზოგადეროვნული, ზოგადსახელმწიფოებრივი ინტერესებით და მამულიშვილური, კეთილშობილური სურვილებით! კატეგორიულად ვაცხადებთ: ქართველთა ეროვნული ერთიანობისა და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების იდეა ჩვენთვის საკრალური მნიშვნელობისა იდეაა!

ბატონო თავმჯდომარე,
პატივცემულო დეპუტატებო,

ჩვენი გულწრფელი სურვილია დაგარწმუნოთ იმაში, რომ, თუ ვინმე ავისმოსურნეს აქვს განზრახვა – მეგრული ენა გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაშინ ჩვენც შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ იმავე მეგრული ენის ფაქტორი ეფექტურად გამოვიყენოთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის სასარგებლოდ... მავანთ კი, ამით ნამდვილად მოესპობათ მეგრულ ენაზე „ზრუნვით" მანიპულირების შესაძლებლობაც!

და ბოლოს, ვიტოვებთ იმედს, რომ გონიერი, საღად მოაზროვნე საზოგადოების წარმომადგენლები მხარს დაგვიჭერენ და ხელისუფლებასაც აღმოაჩნდება ნებელობა მოახდინოს ადექვატური რეაგირება ამ ჩვენს ინიციატივაზე!...

საინიციატივო ჯგუფი:

ზურაბ კვარაცხელია,
ბააკა თოდუა,
ვლადიმერ ლუკავა,
ზაალ ჯალაღონია,
ზაზა ჯალაღონია,
ალინა ბაღიშვილი,
გიორგი ხულორდავა,
ედემ იზორია,
გოგი შონია,
ფრიდონ აბაკელია,
ბორის ბულია,
რევაზ ფიფია,
გიორგი სახოკია,
ოთარ ხუფენია,
როინ პაპავა,
თამაზ თოლორაია,
გურიელ ჭითანავა,
თამაზ სოსელია,
ზაზა ღურწკაია,
იოსებ ქაცარავა,
გიორგი ბაგრატიონი,
ვალერიან ხაბურძანია,
ვიქტორ ცაავა,
ირაკლი უბილავა,
გიორგი ვეკუა,
ნიკოლოზ ბოკუჩავა,
თენგიზ ბულისკერია,
ანდრო ქირია,
ნესტან სილაგაძე,
ნანა ალმასია,
ნატო გობეჩია,
დათო კეკუტია,
ოთარ ბერიშვილი,
გურანდა კეიტია,
ივდითი ხაზალია,
ჯამბულ ბებია,
ბადრი გუნავა,
ნანო ოჩიგავა,
ანა კაპანაძე,
ანა კაჭარავა,
ზვიად ხვიტია,
თაზო კალანდია,
ქრისტინა ჯავახია,
ჯულიეტა ადონია,
ჯულიეტა როგავა,
შოთა კვარაცხელია,
გურამ თოფურია,
ელგუჯა თოდუა,
ზვიად თოდუა,
რაჟდენ თოდუა,
ნონა თოდუა,
გვანცა ცაავა,
ბაჩანა ჯანაშია,
შავლეგო ხოშტარია,
ნანა როდონაია,
ლალი კურდღელია,
მარიამ ხუბულავა,
მამუკა დანელია,
ამირან ლაგვილავა,
მურმან კობახიძე,
დათო სერგია,
პაატა კვინჩია,
ჯონი კილასონია

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მთავარი საბჭოს წევრს ბატონ ზაურ გახარიას, გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას

მოგესალმებით სამეგრელოდან, ჩვენ, გვასალიების გვარის წარმომადგენლები. მოხარულები ვართ, რომ "ილორში" გამოაქვეყნეთ და სრულიად საქართველოს გააცანით გვასალიების გვარის წარმომავლობა. ასევე, დიდ მადლობას მოვახსენებთ სტატიის ავტორს ბატონ ბიჭიკო თუნთიას, სენაკის რაიონის სოფელ ხორშის მკვიდრი გვასალიების ისტორიისა და მათ გვარისშვილთა წარმოჩენისათვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაზეთი **"ილორი"** ყოვლთვის ემსახურებოდა და ემსახურება ქართულ საქმეს. იგი ეროვნული იდეების მქადაგებელი და ერის ინტერესების დამცველია, რაც ესოდენ ესაჭიროება დღეს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

ვიცით, გარკვეული ძალები როგორ ახდენდნენ გაზეთის დისკრედიტაციას, ბრალს სდებდნენ კრემლის ინტერესების გატარებაში, მაგრამ **"ილორი"**-ს მოწოდება – დამყარდეს ნორმალური ურთიერთობები ჩვენს ძლიერ მეზობელთან, გახლავთ არა ღალატი, არამედ ქვეყნის ერთიანობის აღდგენის ერთადერთი გზა!

გისურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში!

კეთილი სურვილებით,

არჯევან გვასალია,
მადონა გვასალია-ჯანჯღავა,
დოდო გვასალია,
თემურ გვასალია,
ლალი გვასალია,
ლარისა გვასალია,
ზვიად გვასალია,
გრიშა გვასალია,
ბადრი გვასალია

პოეზიის კუთხე

ქირსე

ხვალე ღორონც ნოჩქვედუ,
ხვალე თარაშ ნება რდგ,
მერეთ სერი ცოფედუ,
მუჟამც ქირსექ დებადგ.

ანგილოზიშ ნანგარა,
ცას მურუცხის ხანტგნდგ,
დიდას ლილუ ბაღანა,
ბოგას აშუჯანგდგ.

რდგ სანწალე ბორია,
ჩხურუ გრდ დო ინგნდგ,
არძა ჯაქვაბორია
დიხაშ თუდო დინგდგ.

კანთი მიშგნ ნოდაშა,
ართ მუთუნშა ღირდუა,
"მერთითია ბოგაშა,
ქირსექ ეგვირჩქინდუა".
არძა ჭყეში ორწყედ დო

ანგილოზეფქ უჯინეს,
უკულ ფსუა გონწყეს დო
ცაშა გეშახურთქინეს.
2014 წანა, ღურთუთა.

* * *

მალას, ცირა, ჩქიმდა მოლა,
თირც დუფორ არძა გოლა.
უსქანობათ ვამურც აფუნ,
გურქგ ხოლო ქიდმელახგნ.
ვორდი, ვორექ სქანი ჭკორი,
ტყურათ მუშა გგმაჭყორი.
მუშ მაგირძა ორე სერი,
სი ვამურქო თუთაშფერი?
ოლებერი ორე ჭვიმა,
ვაპილა დო ვაგმაჭირა.
მალას, ცირა, ჩქიმდა მოლა,
თირც დუფორგ არძა გოლა.
2014 წანა, ღურთუთა.

ზოთონჯიშ სონეტი

ზოთონჯო მორთი, მარა თოლშე გიჩქუ აფუნი,
სქანი სახელი მიდუღალუ ნწალე ბორიას,
ვო, უსქანობა, უმენდობა ჯაქვაბორიას,
თე აყმარწობათ გურქგ ხოლო ქიდგელახგნი.

არძა ბორჯისგ უთირალი უღუ კანონი
დო თეში ვიშო მუთუნ ვარე ჩქინი კორინი,
მუზმა ხანი რე, გოლვაფირო, ვამაგორინი,
ათე წანეფცგ ქიმკიჭარანც ირიათონი.

სქან შურიშ ნართის გილაგორუნც ამდღა ცოროფა
დო პირელეფი გიშმარწკინგნც სქანი თომაშე,
ვაგობაღგნო ჭიროთი დო თეზმა ჭოროფა?

ჩქიმი ნარტეფი სქან გურიში კორთხოს დინაფე,
ცათე თოლეფი ჯვეშებურო გეშმოჯვიდაფე,
ვარა უჩურცხალ ზოთონჯ ხოლო ქუმურც ორთაშე.

გიორგი ხულორდა
2014 წანა, ღურთუთა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ოთარ ქაჯაია – ჩემი ცხოვრება

ჩვენი საუბარი იმით დამთავრდა, რომ ვუთხარი: მოვიფიქრებ და პასუხს ხვალ მოგახსენებ-მეთქი. ვიფიქრე, თუ დავთანხმდები მხოლოდ ერთი ვადით, ე.ი. სამი წლით.

დავბრუნდი სახლში. ისევ ტელეფონის ზარი, მირეკავს პრორექტორი სასწავლო დარგში, დოც. ბიძინა ქიქოძე და მეუბნება: ოთარ, ხვალ დილით 9.00 საათზე უნდა მობრძანდეთ, რექტორის განკარგულებით დაინიშნეთ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად კონკურსით არჩევნებამდეო.

შევუდექი დეკანის მოვალეობის შესრულებას, განვამტკიცე დისციპლინა, სტუდენტთა პირადი საქმეები სამსავე განყოფილებაზე (დღე, საღამო, დაუსწრებელი) ასე თუ ისე მოვიყვანე წესრიგში.

გავიდა სამი წელი. დავწერე განცხადება დეკანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ხუთშაბათს წავედი სოფელში, ორშაბათს დილით შევდივარ ინსტიტუტში, მილოცავენ პრორექტორობას სასწავლო დარგში. მივდივარ დეკანატში. მირეკავს რექტორი, ჩემთან გადმოდიო. მივდივარ, ვსაუბრობთ. ბოლოს მეუბნება, მდივანს გამოართვი გასადები და პირდაპირ ოთახში შედი, შეუდექი სასწავლო დარგში პრორექტორის თანამდებობის შესრულებასო. საკითხი ყველა დონეზე შეთანხმებულია.

– ჩემი თანხმობა გაქვთ?

ერთი სიტყვით, რვა წელიწადი ვიმუშავე პრორექტორად სასწავლო დარგში, 12 წელიწადი – პრორექტორად სამეცნიერო დარგში.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გავაკეთე მოკლე განცხადება და გადავდექი პრორექტორის თანამდებობიდან. ამ თანამდებობაზე რეკომენდაცია გავუწიე შესანიშნავ მოქალაქეს, ბრწყინვალე მეცნიერ-მკვლევარს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ზურაბ სარჯველაძეს.

როგორ დაიწერა მეგრულ-ქართული ლექსიკონის ოთხტომეული

საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი ქართული ენის მოხეურ დიალექტზე. ბატონმა აკაკიმ შემომთავაზა მთის დიალექტებზე გამეგრძელებინა მუშაობა. მე მოვახსენე, მინდა ვიმუშაო მეგრული ენის სიტყვაწარმოებაზე სხვა ქართულ ენებთან მიმართებაში. მოიწონა და წარმატება მისურვა.

სიტყვაწარმოების ძიებამ მიმიყვანა ლექსიკოლოგიის აქტუალურ საკითხებამდე. ერთხელ ბატონ აკაკისთან მორიგი სტუმრობის დროს ვუთხარი: ბატონო აკაკი, ჩემი ყურადღება მიიქცია მეგრულის ლექსიკამ, განსაკუთრებით იმ ფაქტმა, რომ მეგრული სიტყვები იკარგება. ამის დასტური იყო ის ფაქტიც, რომ ლებარდეში ყოფნის დროს სამ ძველ მწყემს ერთად მოვუყარე თავი, ისინი იხსენებდნენ ძველ ყოფით სიტყვებს მწყემსებისათვის დამახასიათებელს, ერთ-ერთმა რაღაც სიტყვა იხმარა მწყემსთა ყოფიდან, რაზედაც ორმა უთხრა: რამ გაგახსენა ეხლა ეს სიტყვაო.

ერთი სიტყვით, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ხელსაყრელ დროს დავიწყე სოფელ-სოფელ სიარული და სიტყვების შეგროვება. „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ პირველი ვარიანტი მოიცავდა 7.200-მდე გვერდს. ამის შესახებ ვესაუბრე პროფ. კორნელი დანელიას და რედაქტორობა ვთხოვე. ის დამთანხმდა, თან მირჩია, გადამემუშავებინა. ჩემი პასუხი იყო: საკმაო ხანია, რაც გადამუშავებას ვახდენ, თან ვამცირებ. სამწუხაროდ, ბატონი კორნელი გარდაიცვალა.

გადამუშავების შემდეგ დავიყვანე 550 გვერდამდე. მივედი გამომცემლობაში „განათლება“, შეიტანეს გეგმაში, დამპირდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა.

ერთ მშვენიერ დღეს შექმნილი სიტუაცია ვუამბე პროფ. ზურაბ სარჯველაძეს. მისი თხოვნით პირველი საქადალდე მივუტანე, წაიკითხა და როგორც ჩანს, მოეწონა. მან დაიწყო ზრუნვა დასასტამბად. ამ დროს ინსტიტუტში მოვიდა მ. ჩაჩხუნაშვილი, რომელიც იყო ფონდის „დია საზოგადოება – საქართველოს“ გენერალური დირექტორი. ის შეხვდა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს. მათ უთხრა: ვისაც გაქვთ დაწერილი წიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მოიტანეთ და დაგიბეჭდავთო.

პროფ. ზურაბ სარჯველაძის ძალისხმევით, მისი უდიდესი მონდომებით მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ლექსიკონი ორ ტომად დაიბეჭდებოდა. ბატონი ზურაბი მირეკავს სახლში, მეუბნება: ხელშეკრულება გაფორმდა და სასწრაფოდ მიიტანე ხელნაწერი გამომცემლობა „ნეკერში“ დირექტორთან გია შერვაშიძესთანო. გიას გადაედო ჩვენი პათოსი, ხელნაწერის მიტანისთანავე ორ კომპიუტერზე დაიწყეს აკრეფა, შემდეგ დაემატა მესამეც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 2001-2002 წწ. დაისტამბა სამივე ტომი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასალის კომპიუტერში შეტანამდე მიხდებოდა მასალის შეკვეცა, რაც ძირითადად მოხდა ზმნისწინიანი ფორმებისა და საილუსტრაციო მასალის ამოღების ხარჯზე.

ეს ხარვეზი შემდეგ შევავსე IV ტომში (დამატებანში). აქ შევიდა ამოღებული ზმნისწინიანი ფორმები. ასევე შევიტანე ლექსემები სამტომეულის გამოსვლის შემდეგ დაბეჭდილი წიგნებიდან (დაწვრილებით იხილეთ „დამატებანის“ წინასიტყვაობა).

როგორ დაიწერა მეგრულ-გერმანული ლექსიკონი

გერმანიაში ექვსთვიანი მივლინების შემდეგ ჩამობრძანდა პროფ. ზურაბ სარჯველაძე. მან მითხრა: ჰაინცმა გამოთქვა მოსაზრება, თუ ოთარ ქაჯაია იქნება თანახმა, მე ჩამოვალ თბილისში და ერთად შევადგენთ „მეგრულ-გერმანულ ლექსიკონსო“. მე დავთანხმდი. ეს, როგორც ჩანს, ზურაბმა აცნობა ჰაინცს. ის თბილისში ჩამოვიდა ივლისის შუა რიცხვებში. 1 აგვისტოს იწყებოდა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები. ბატონმა ზურაბმა ძველი ქართული ენის კათედრის კაბინეტში მუშაობაზე ნებართვა სთხოვა რექტორს, როინ მეტრეველს. ის დათანხმდა და მთელი ივლისის მეორე ნახევარი და აგვისტოს პირველი ნახევარი მე, იზა ჩანტლაძემ და ჰაინც ფენრიხმა ვიმუშავეთ უნივერსიტეტში ასეთი განრიგით: დილის 10-საათიდან მუშაობდნენ სვანურზე იზა ჩანტლაძე და ჰაინცი, 3 საათიდან 8 საათამდე ვმუშაობდით მე და ჰაინცი. მეგრულ სიტყვებს ვუთარგმნიდი ქართულად, ის კი თარგმნიდა გერმანულად. გერმანიიდან გამომიგზავნა კომპიუტერში შეტანილი მასალა და მთხოვა კორექტურა. ჰაინცმა მითხრა: ძლივს დავითანხმეო ვისბადენის გამომცემლობა, რომ ეს ლექსიკონი დამებეჭდაო. წიგნის დაბეჭდვით ევროპელი ქართველოლოგები კმაყოფილი დარჩნენ.

როგორ დაიწერა მეგრულ-რუსულ-ქართული ლექსიკონი

ინსტიტუტში ჩემთან მოვიდა ქეთინო თამაზის ასული გადილია. გამომეცნაურა და მითხრა: თქვენ იცნობდით გიორგი ალექსანდრეს ძე კლიმოვს. გიორგის დარჩა დიდძალი მეგრული მასალა ბარათებზე, მის მეუღლეს ჯოის და ქალიშვილს ამ საარქივო მასალის დაბეჭდვა სურთო. მე მეგრული არ ვიცი, მასალას გადავიტან კომპიუტერში, ამოვბეჭდავ და გამოგიგზავნითო. მე დავთანხმდი. რუსეთთან ურთიერთობა იძაბებოდა, განსაკუთრებით ეს საგრძნობი გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ყოველ ბარათზე მიწერილი ჰქონდა, ვისგან ჩაიწერა. ინფორმატორთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა პროფ. გიორგი კაჭარავას. ზოგიერთ ბარათზე თარგმანი ზოგჯერ გერმანულად ან ინგლისურად იყო. ძნელია, ჩამწერის საიდუმლოებას ჩასწვდე. მე ჩემეული ვარიანტი შევთავაზე, ა ასოზე გავაკეთე და გავაგზავნე მოსკოვში. თან შევუთვალე, თუ ასე გავაკეთებდი, მაშინ თანაავტორი უნდა გავმხდარიყავი. ამ წინადადებაზე დედა-შვილი დათანხმდნენ, მაგრამ უნდოდათ ბატონი გიორგის ვარიანტის შენარჩუნება. რუსულად თარგმანი უმეტეს შემთხვევაში არასწორი იყო.

ბატონ გიორგის ორ წელიწადში ერთხელ ვიწვევდით ქართველურ ენათა ლექსიკოლოგიის საკითხების წასაკითხად. აქ ის ხვდებოდა მეგრელ სტუდენტებს და მათგან იწერდა სიტყვებს, ზოგი სწორ ფორმას უსახელებდა, ზოგიც – მცდარს. მიმოწერა, მიგზავნ-მოგზავნა გაგრძელდა თითქმის 8-9 წელიწადი. დაბოლოს 2013 წელს მოსკოვში გამომცემლობამ „გოორუნ“ დაბეჭდა 455-გვერდიანი ლექსიკონი: Г.А. Климов, О.М. Каджаиа, Мегрельско-Русско-Грузинский Словарь.

ამ ლექსიკონის დაბეჭდვაში ლომის წილი მიუძღვის ქალბატონ ქეთინო გადილიას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ძალისხმევა, რაც გასწიეს ქეთინოს მშობლებმა ქალბატონმა ნანამ და ბატონმა თამაზ გადილიებმა.

რას ვაკეთებ?

ისმის ბუნებრივი კითხვა: „რას ვაკეთებ ამჟამად? ჩემი „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ IV ტომი (დამატებანი) დაიბეჭდა 2009 წელს. ამის შემდეგ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაცულ იქნა არაერთი საკანდიდატო დისერტაცია დარგობრივი ლექსიკის შესახებ. ასე, მაგ., მეფრინველეობაზე, მეთევზეობაზე ზანურში. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბროშურები (იხ. ლიტერატურის სია). ასევე გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ (2010 წ.). ზემოხსენებულ წიგნებსა თუ სხვა პერიოდულ პრესაში მოვიპოვე საკმაოდ საინტერესო ლექსიკური ერთეულები, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა ჩემს წიგნებში. გადავწყვიტე მათი შეტანა ჩემს ლექსიკონში. შესატანია სამი ასოს (ლ, მ, ნ) მასალა. ჩემი ვარაუდით, ფიზიკურმა მდგომარეობამ თუ შემიწყო ხელი, ამას შევძლებ წლის ბოლომდე.

დანართი №1

პატივცემულო ბატონო ოთარ,

მოგესალმებით გერმანიიდან და სულითა და გულით გილოცავთ თქვენი დაბადების 90 წლისთავს. ვიმედოვნებ, რომ კარგად ბრძანდებით და ძველებურად შრომობთ ენათმეცნიერების დარგში, სადაც ასე ნაყოფიერად მოღვაწეობდით და გამოეცით მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ნაშრომები. დიალექტოლოგიაში მხიბლავს თქვენი წიგნები ქართული ენის მოხეურ კილოზე, რომლებიც შვენის ქართულ კილოთქმათა აღწერისა და გამოკვლევის გამოცემებს.

მე ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით და თანამშრომლობით, რომელიც მოხერხდა მაშინდელი სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტში, სადაც თქვენთან ერთად მუშაობდნენ ქართველური ენების საუკეთესო სპეციალისტები: ზურაბ სარჯველაძე, შოთა ძიძიგური, ალექსანდრე ონიანი, გურამ კარტოზია, ლეო კვაჭაძე და ბევრი სხვა. ძალიან მინდა, რომ გაგრძელდეს საქართველოს უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში ქართველური და სხვა ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევა, რომლის დიდი მიღწევები დაკავშირებულია გივი მაჭავარიანისა და თამაზ გამყრელიძის, აკაკი შანიძის, ტოგო გუდავას, ბაქარ გიგინეიშვილის, ზურაბ სარჯველაძის, ალექსანდრე ონიანის და გურამ კარტოზიას სახელებთან და რომელიც ისევ დაკავშირებულია მეცნიერების იმ კერასთან, სადაც თქვენ მოღვაწეობდით, ბატონო ოთარ.

მე განსაკუთრებით გამახარა თქვენმა ოთხტომეულმა, „მეგრულ-ქართულმა ლექსიკონმა“, რომელმაც მოგვცა მდიდარი მასალა და მნიშვნელოვნად შეავსო ქართველური ლექსიკის ფონდი. ამით დიდად დაეხმარეთ ისტორიულ-შედარებით კვლევა-ძიებას და ქართველური ფუძე-ენის აღდგენის მომავალ წინსვლას. ეს თქვენი ლექსიკონი ძვირფასი წვლილია ქართველოლოგიაში და მაკვირვებს, რა უზარმაზარი ენერგიით და ჭიჭკიტიასავით ბეჯითად მუშაობდით წლების განმავლობაში დიადი საქმის ბოლო დაგვირგვინებამდე.

პროფ. ჰაინც ფენრიხი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების ყოფილი დირექტორი, გერმანია.

დანართი №2

ძვირფასო კოლეგებო,

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების სახელით და ასევე პირადად ჩემგან გულითადად (უგულითადესად) ვულოცავ ბატონ ოთარ ქაჯაიას 90 წლის იუბილეს. მის მიერ შედგენილი შთამბეჭდავი მოცულობის მეგრულ-ქართული ლექსიკონი ათწლეულების და მეტიც, საუკუნეების მანძილზე არ დაკარგავს უდიდეს სამეცნიერო ღირებულებას.

ბ-ნი ოთარის ნაშრომი მოიცავს 30 ათასამდე ერთეულს და უხვად გვაწვდის მორფოლოგიური ფორმებისა და ფრაზების სახით წარმოდგენილ მაგალითებს – სწორედ ამ მდიდარი ინფორმაციის წყალობით ის ბევრად აღემატება არა მხოლოდ მეგრული ენის მანამდე არსებულ ლექსიკონებს, არამედ ქართული ენის ლექსიკონების უმეტესობას. ამასთან, ბ-ნი ოთარის მეგრულ-ქართულ ლექსიკონს ახლავს პარადიგმატული ფორმების ცხრილებით გამდიდრებული გრამატიკული ცნობარი, რომელიც მოკლე ენათმეცნიერული აღწერის თვალსაჩინო ნიმუშია.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ბ-ნი ოთარ ქაჯაიას გამორჩეული სამეცნიერო ღვაწლი ყველაზე უკეთ დააფასა ჩემმა წინამორბედმა, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების ყოფილმა დირექტორმა, პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა. მან ბ-ნი ოთარის ლექსიკონი გერმანულ ენაზე თარგმნა და ამგვარად ხელმისაწვდომი გახადა ფართო სამეცნიერო და მათ შორის, ლინგვისტური საზოგადოებისათვის.

ბოლოს, მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ბ-ნ ოთარ ქაჯაიას კავკასიოლოგიაში, ენათმეცნიერებასა და ლექსიკოლოგიაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის და გამოვთქვა იმედი, რომ კავკასიური ენების მომავალი სპეციალისტებისათვის ბ-ნი ოთარი ეს უდიდესი ნაშრომი მისაბაძ მაგალითად იქცევა.

ქევინ ტუიტი (თუითი)
კავკასიოლოგიის მიმართულება, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი, ანთროპოლოგიის განყოფილება, მონრეალის უნივერსიტეტი, კანადა.

დანართი №3

დიდად პატივცემულო საყვარელო ბატონო ოთარ,

მე თქვენ მხოლოდ 10 წლის წინ გაგიცანით, როცა ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოებამ თქვენი შრომა დააფასა და დააფინანსა. ასე რომ, თქვენთვის გასაგებია, რომ მე თქვენს საიუბილო თარიღს მხოლოდ ამ თვალსაზრისით, მაგრამ მთელი გულით გილოცავთ.

ამასობაში ბევრმა ქართველოლოგმა ამოიღო ცოდნის ზღვიდან ის, რაც თქვენ, ქართული ანდაზის ვარიაციას რომ მივმართოთ (კოვზით ზღვა ამოხაპეს) თქვენი პროფესიონალიზმის, მოთმინებისა და მუყაითობის ოქროს კოვზით ამოიღეთ. თავს უფლებას ვაძლევ მრავალი ქართველოლოგის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ სამსახურისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ. ვინაიდან ასეთი სიდიდისა და ხარისხის ლექსიკონი ის სიმდიდრეა, რომელითაც მრავალმა თაობამ შეიძლება და უნდა ისარგებლოს. ეს არის ნიმუში მეგრული გამომსახველობითი ძალისა და საოცარი საუნჯე ფერადი სურათებისა, რომლებიც უამრავმა თაობამ შექმნა. ეს არის განძი, რომლითაც თითოეული ჩვენგანი აღფრთოვანებულია და რომლის საშუალებითაც, იმედია, ბევრი ენათმეცნიერი მეგრულის თავისებურებებს გამოიკვლევს.

პირადად მე თქვენ გისურვებთ, მიბაძოთ თქვენი დიდი ხნის კოლეგას, ბატონ ლეო კვაჭაძეს და კიდევ დიდხანს ჯანმრთელმა კრიტიკულად და გამამხნევებლად უხელმძღვანელოთ ახალი თაობის მეცნიერებს.

დიდი პატივისცემით,

თქვენი ვინფრიდ ბოედერი.
15.V.2014

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ესაა ზიარება ეფრემ ასურის, წმ. ბასილი დიდის, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. იოანე ოქროპირისა და სხვა მსგავს ქრისტიან ბრძენ-კაცთა ნააზრევთან, მათ სულისკვეთებასთან. «შენ დაჯერებული ხარ იმაში, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება, ღმერთებმა იციან და ხედავენ»-ო, წერდა ბაკურს ლიბანიოსი (58:63). წარმართმა სოფისტმა სიტყვა «ღმერთი» მრავლობით რიცხვში რომ მოიხსენია ეს კანონზომიერი უფრაა, ვიდრე გასაკვირი და ამის შესახებ, სხვათა შორის, თავის დროზე აკად. კ.კეკელიძემ მიუთითა კიდეც (49:13); ლიბანიოსი პოლითეისტი გახლდათ და შესაბამისად ამისა ქრისტიანული მონოთეიზმი მისთვის მიუღებელი იყო. ქრისტიანი ბაკურის ჩვენამდე არ მოღწეულ წერილში კი, უეჭველად სიტყვა «ღმერთი» იქნებოდა ნახსენები და მისი ავტორის შეხედულებაც ზოგადად ამგვარად უნდა იქნას გაგებული: «რაც კი რამ ხდება ქვეყნად, ყოველივე ღვთის ნებით ხდება; ღმერთი ყოვლის-მჭვრეტელია». ამიტომაც სრულიად კანონზომიერია ის, რომ «ქართული ასომთავრულის» შექმნა დიდი ბაკურის ცნობიერებაში ღვთიური მადლის წყალობად, უკვდავი ღმერთის ნების მატერიალური სახით გამოვლინების ნიშნად იქნა აღქმული.

ამიტომ იყო, რომ ქართული ანბანის შემოქმედმა პირებმა ჭეშმარიტი ქრისტიანული ასკეტიზმისათვის დამახასიათებელი ჩვეული მოკრძალებით დაფარეს საკუთარი ღვთივსათნო ღვაწლი ფართო საზოგადოებრიობის წინაშე. მათ დაიმდაბლეს თავი, რადგან სწამდათ სახარებაში გაცხადებული ღვთაებრივი სიბრძნის: «რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს» (მათე 23-12; ლუკა 14-11), და კიდევ: «ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა, რაითა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისაგან თქუენისა ზეცათაისა» (მათე 6-1).

დავათის ქვასვეტი სპეციალისტთა მიერ დათარიღებულია VI საუკუნით (განსხვავებული მოსაზრებისათვის იხ. ვ.სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988:226 და სხვ.). იგი, როგორც ცნობილია, VIII-IX სს-ით დათარიღებული საყდრის ბურჯში იქნა თავის დროზე ჩაშენებული. «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი»-ს ჰიმნი, რომელიც თავისი ატრიბუციით IV ს-ის მიწურულს უნდა იყოს შექმნილი ქართული ანბანის შემქმნელთა წრესთან დაახლოვებული პირის მიერ (ძეგლის ჩვენ მიერ გამოვლენილი აკროსტიხის საფუძველზე ჩვენ დავუშვით აზრი იმის თაობაზე, რომ ჰიმნი ეკუთვნის დიდი ბაკურის თანამედროვე სასულიერო მოღვაწეს, მოსე მთავარეპისკოპოსს.

– იხ. 102:51-52, 65), ოთხ პირად გადაუწერია X ს-ის II ნახევარში ბერ იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელს. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ჰიმნის ტექსტები ნიუანსობრივად სხვაობენ ერთმანეთისაგან, უნდა მოწმობდეს იმას, რომ არსებობდა ძეგლის ხელნაწერთა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ გადაწერილი ნუსხები, რაც იოანე-ზოსიმეს მხრიდან გამოჩენილი ყურადღების ფაქტთან ერთად პალესტინისა და სინას მთის სამონასტრო კერებში მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზონთა თვალში აღნიშნული ძეგლის დიდი მნიშვნელობისა და ღირებულების არსებობის მოწმობადაც მიგვაჩნია. ეს კი, ჩვენი აზრით, იმის დასტურადაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ IV ს-ის ბოლოდან მოყოლებული ვიდრე VIII-IX სს.-თა მიჯნამდე, რა დროსაც ქართული წელთაღრიცხვის სისტემა აამოქმედეს წმინდა ისტორიული ქრონოლოგიის საჭიროებისამებრ, ჩვენთვის საინტერესო მოვლენის გარშემო გარკვეული, – შეიძლება, უკვე ფრიად ბუნდოვანი, – ინფორმაცია ქართლის სასულიერო წრეებს უეჭველად გააჩნდათ. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც ჩვენ ადრე ვივარაუდეთ, ხელთ უნდა ჰქონოდა XI ს-ის მწერალს ლეონტი მროველსაც. ბუნდოვან ტრადიციულ გადმოცემაში ხსენებული მემატიანის დროს ქართული ასომთავრული დამწერლობის შემქმნელთა სახელები ჯერ კიდევ იკითხებოდა «ფარნავაზისა» და სპარსული «არმაზის» სახით. თუ უკანასკნელის «ორმიზდ»-სახელთან დაკავშირების შესაძლებლობა როგორც ფილოლოგიური, ისე ისტორიული თვალსაზრისით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს (იხ. 104:21-23), «ფარნავაზ»-სახელის ქვეშ დიდ ბაკურის პიროვნების დანახვის შესაძლებლობას გარკვეულ საფუძველს უქმნის მკვლევარ მ.სანაძის მიერ უკანასკნელ ხანებში გამოთქმული საინტერესო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იბერიის მეფეთა ტრადიციულ ონომასტიკონში წარმოდგენილი სახელი «ფარნავაზ», რომელმაც სახელდება მისცა მთლიანად ქართლის (იბერიის) სამეფო დინასტიას, თავდაპირველად არ წარმოადგენდა კონკრეტულ სახელს, არამედ მისი სპარსული ეტიმოლოგია არის «ბრწყინვალე ხელი» (ხელბრწყინვალე), რომელიც სემანტიკურად ქართული «ხელმწიფე»-ს შესატყვისია.

მოკლედ, მეცნიერი თვლის, რომ სიტყვა «ფარნავაზი» (< სპ*»ფარნაბაზა») ძველად ხელმწიფის, მეფის ზოგადად აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა ქართულ სამყაროში (იხ. 78:80-84). აღნიშნული სახელის ამგვარი განმარტებით იქმნება საფუძველი იმ თვალსაზრისის დამკვიდრებისათვისაც, რომ ქართული დამწერლობის შექმნის მოვლენა შეცდომით, გაუგებრობის ნიადაგზე იქნა გადატანილი წინაქრისტიანულ ეპოქაში და დაკავშირებული ქართლის სამეფოს ლეგენდარული მესაძირკვლის პიროვნებასთან. როგორც ჩანს, მემატიანის ხელთ არსებულ ბუნდოვან გადმოცემაში იკითხებოდა მეფის/ხელმწიფის აღმნიშვნელი ზოგად-ტრადიციული ტერმინი, რომელიც მემატიანემ პიროვნების კონკრეტულ, ჩვენს შემთხვევაში ქართლის სამეფოს ფუძემდებლის, სახელად გაიაზრა. აღნიშნულ გადმოცემაში ანბანის შემქმნელი მეფის ნამდვილი სახელი («ბაკურ») ან აღარ ამოიცნობოდა, ან კიდევ, ჩვენი მემატიანის პირადი შეხედულებისა თუ სხვა ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო იგი უკუგდებული იქნა. მაგრამ იმავე მ.სანაძის მოსაზრება, რომ ის, რასაც ჩვენ «ქართულად» ფარნავაზს ვუწოდებთ, მემატიანეს თითქოსდა სპარსულად არმაზ/აჰურამაზდას სახით ჰქონდა გააზრებული (81:82), ჩვენ, მართალია, საინტერესოდ, მაგრამ იმავე დროს ძნელად გასაზიარებლად მიგვაჩნია.

ყოველ შემთხვევაში, ფარნავაზსა და აჰურამაზდას შორის ტოლობის ნიშნის დასმის რეალურ-ისტორიულ საფუძველს პირადად ჩვენ ვერ ვხედავთ. ცხადი და სინამდვილე მხოლოდ ერთია: კერპი «არმაზი» სხვაა (=მთვარის ხეთურ-მცირეაზიულ კერპ-ღვთაება «არმა/არმაშ»-ს) და პიროვნული სპარსული სახელი «არმაზი» (=სპარსულ «აჰურამაზდა/ოჰრმაზდ/ორმიზდ»-ს) კიდევ სხვა.

ერთი სიტყვით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცნობა ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ ლეონტი მროველის თხზულებაში თავის ადგილზე არ იმყოფება. წესით და რიგით, ის ქრისტიანულ ეპოქაში, ბაკურ თრდატის ძის ზეობასთან დაკავშირებით უნდა ყოფილიყო მატიანეში ჩართული. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ლეონტი მროველს პირველ ქრისტიან მეფეთა შორის რატომდაც ერთადერთი სწორედ ბაკურ თრდატის ძე (იგივე დიდი ბაკური) ჰყავს «გამორჩენილი»!

სამწუხაროდ, ლეონტი მროველის მიერ ხელოვნურად შექმნილი ვერსია ქართული მწიგნობრობის ლეგენდარული ფარნავაზ მეფის ეპოქაში ჩამოყალიბების შესახებ გახდა შემდგომში იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ XI ს-ში ჯერ კიდევ არსებული ძველი, მაგრამ, ეტყობა, უკვე ფრიად გაბუნდოვნებული ხსოვნა ჩვენთვის საინტერესო მოვლენაზე თანდათანობით წაიშალა ქართველთა მეხსიერებიდან.

ასე და ამრიგად იქნა გაძევებული ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის მოვლენა მის თავმდაბალ შემოქმედ პირებთან ერთად ქრისტიანული ეპოქიდან; ასე და ამრიგად გაქრა ხსოვნა «წმინდა წერილის», ჩვენი ეროვნულ-ქრისტიანული მწერლობის ამ საფუძველთა საფუძვლის, ქართულად გადმოღების პერიპეტიების შესახებ; ასე და

ამრიგად იქნა უსამართლოდ მითვისებული წარმართობის ეპოქალური სამყაროს მიერ ღმერთშემოსილ ქრისტიან ბრძენ-კაცთა ხელთუქმნელი ნამოღვაწარი – ქართული «ასომთავრული».

ქართული დამწერლობის «დაფარული» წარსულის გამომზეურებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელს უშლიდნენ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. მოვლენის შესახებ ძველ წერილობით წყაროებში სანდო ინფორმაციის არარსებობის პირობებში სპეციალისტთაგან მთელი ყურადღება გადატანილი იქნა საკუთრივ ანბანის შინაგანი და გარეგანი სტრუქტურის შესწავლაზე, რაც პრობლემის მხოლოდ ლინგვისტური და მათემატიკურ-გეომეტრიული თვალსაწიერით ანალიზის საშუალებას იძლეოდა (ი.ჯავახიშვილი, კ.კეკელიძე, ა.შანიძე, ვ.ბედერი, თ.ჩხენკელი, ე.მაჭავარიანი, თ.გამყრელიძე და სხვ.). კვლევის შემდგომ ეტაპზე ყურადღება გამახვილდა ასომთავრულის მათემატიკურ-კალენდარულ ფუნქციაზე (რ.პატარიძე, ნ.კანდელაკი და გ.ცერცვაძე). სხვადასხვა მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად პრობლემის ირგვლივ დაგროვდა ინფორმაციის საკმაოდ სოლიდური მარაგი.

მაგრამ, ამასთანავე, აშკარად იგრძნობოდა, რომ საჭირო იყო იმ ისტორიული ეპოქის საზოგადოების სულისკვეთების შეცნობა, რომლის გარემოცვაშიც ყალიბდებოდა ქართული ეროვნული დამწერლობის სისტემა – «ასომთავრული». გასათვალისწინებელი იყო ანბანის შემქმნელი წრის მაღალი ინტელექტუალური მონაცემების არსებობის ფაქტორიც, რაშიც საკითხის სხვადასხვა რაკურსში შესწავლის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე მუდმივად რწმუნდებოდნენ მკვლევარები. დიდი ბაკურის მაგალითზე ჩვენ ახლა უკვე ვიცით, თუ რა ტიპის ადამიანების წრეში შეიქმნა ქართული ასომთავრული; მისი შემოქმედნი იყვნენ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებაში, გრამატიკაში, უცხო ენებში, ფილოსოფიაში, დიალექტიკაში, რიტორიკაში, ასტრონომიაში, მათემატიკასა და გეომეტრიაში და ალბათ, სხვა დანარჩენ ელინურ მეცნიერებებშიც ღრმად განსწავლულული ადამიანები. მხოლოდ ბრძენ ადამიანს შეეძლო ქართულ ზეპირ თვლაში მოცემული არაპოზიციური ნუმერაციის ფილოსოფიურად გააზრების ნიადაგზე დაენახა მეგობრული რიცხვების პითაგორას წყვილში (220 და 284) «ბაკურ»-სახელის ქარაგმული ვარიაციის ამოკითხვის შესაძლებლობა. ამ ბრძენმა პიროვნებამ იცის პითაგორას პასუხი შეკითხვაზე, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მის მეგობრად: «ის, ვინც არის ჩემი მეორე მე, როგორც რიცხვები 220 და 284»; და აი, «ქებაის» ჰიმნში ჩაწერილი სიტყვების: «და მეგობრობაი ამისთვის თქუა ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს», არსიც ახლა ჩვენთვის უკვე ცნობილი გახლავთ: «220» (ორ-ას-ოცი) ზეპირსიტყვიერად გადმოიცემა სამი რიცხვით: «2», რომლის შესატყვისია ასო-ნიშანი «ბ»-ანი, «20» ანუ «კ»-ანი და «100» ანუ «რ»-აე (დალაგებულია ანბანური რიგით), რაც მთლიანობაში «ბ(ა)კ(უ)რ»-სახელის ქარაგმული ვარიაციის წაკითხვის საშუალებას იძლევა. ხოლო რიცხვის «284» (ორ-ას-ოთხ-მეოც და ოთხი) ზეპირსიტყვიერად გადმოცემის შემთხვევაში კი ანალოგიური წესით წაიკითხება იგივე დაქარაგმებული «ბ(ა)კ(უ)რ» და დამატებით კიდევ სიტყვა «დ(ი)დ(ი)»-ს ქარაგმა (იხ. 104:132-134). «ბაკურის» «მეორე მე», ანუ « ლტერ ეგო» არის კიდეც «დიდი ბაკური»! სხვათა შორის, «ბაკურ»-სახელის ქარაგმის შემადგენელი ბგერების იმავე წესით გადმოცემა შესაძლებელია კიდევ და მხოლოდ ორად-ორი რიცხვით: «140» და «122»; დაქარაგმებული «ბაკურ დიდი»-ს იმავე წესით გადმოცემაც ასევე კიდევ და მხოლოდ ორი რიცხვითაა შესაძლებელი: «444» და «482». მაგრამ «ქებაის» ტექსტისეული «მეგობრობის» ცნების პითაგორულ-მატემატიკური სიბრძნის მეშვეობით გააზრება და ქართული ანბანის «საიდუმლოსთან» მისი დაკავშირება რეალურად მხოლოდ მეგობრული რიცხვების (220 და 284) ნიადაგზეა შესაძლებელი. ყველა სხვა შემთხვევაში «ქებაისეული» ინფორმაციის მსგავსი წესით ახსნას უბრალოდ აზრი ეკარგება. ზეპირი ნუმერაციის ფილოსოფიურ გააზრებას ხელს უეჭველად ის გარემოებაც უწყობდა, რომ ეროვნული ანბანის შემოღებამდე ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა წერილობით მოეხდინათ ამა თუ იმ რიცხვის სიტყვიერი ფიქსაცია, ანუ ქართულ მეტყველებაში მიღებული სახელდებით ჩაეწერათ ესა თუ ის რიცხვი. დამწერლობის ვერცერთი სხვა უცხო სისტემა, სავსებით გასაგები მიზეზით, მათ ამგვარ გულისწადილს ვერ დააკმაყოფილებდა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ადრექრისტიანული ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში (მაგ., ბოლნისის სიონის წარწერა, «შუშანიკის წამება», «ევსტათი სპარსის წამება» და სხვ.) სათარიღო (წლების, დღეების...) რიცხვები სწორედ ზეპირსიტყვიერი სახელწოდებების სახით არის მოცემული და არა შესატყვისი ანბანური ასო-ნიშნებით. საფიქრებელია, რომ ეს ადგილობრივ არსებული ძველი და ძვალ-რბილში გამჯდარი ტრადიციის ინერციით იყო განპირობებული.

რიცხვი «284», რომელიც 532-წლიან პასქალურ ციკლებზე დაფუძნებული ქართული საეკლესიო წელთაღრიცხვის სისტემაში «ქრისტეს მოსვლის» საკრალური მე-11 საათის ფარგლებში უჩვენებს «ძე ღმრთისა»-ს ღვთაებრივი განკაცების (ანუ იესუ ქრისტეს დაბადების) მისტიური მოვლენის დროს, როგორც ჩანს, მორწმუნეთა ცნობიერებაში საკრალიზებული იყო, რადგან «ღმერთის» აღმნიშვნელი ბერძნული «თეოს»-სიტყვის იზოფსეფია არის სწორედ 284 (=თ/9+ე/5+ო/70+ს/200). ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა თვითონ სახელი «ბაკურ»-ი (< ბაგ-პურ/ბაგ-პუჰრ), რომელიც სპარსულიდან ქართულად ითარგმნება როგორც «ღმრთის ძე» ან «ძე ღმრთისა»!!! ცნობილია ისიც, რომ ძველად არსებობდა სახელის კულტი. ძველი ლათინების რწმენით, «სახელი წინასწარმაუწყებელი ნიშანიცაა» (ომენ ესტ ომენ). სახელი გამოხატავდა თავად ცხოვრებას ადამიანისას, მის არსს და უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მისი მატარებელი ადამიანის პიროვნებაზე. ამგვარ სახელებს უპირატესად თეოფორიული სახელები ან თეონიმები ეწოდება. თუკი ჩვენთვის საინტერესო პიროვნების სახელს ამ თანრიგში განვიხილავთ, ზედმეტი არ იქნება მათეს სახარებიდან მაცხოვრის შემდეგი სიტყვების მოყვანა: «ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ» /მათე-5,9/. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელი (200-258 წწ.) განმარტავდა იმას, თუ როგორი ადამიანები შეიძლებოდა წოდებულიყვნენ «ძე ღმრთისად»; მისი აზრით, «ძეთა ღმრთისათა შეჰფერით იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, მდაბალნი გულითა, უბრალონი სიტყვით, კეთილგანწყობილნი ერთმანეთის მიმართ, ერთსულოვნების კავშირით მტკიცედ შეერთებულნი» (52:79). წმ. იოანე ოქროპირი მათეს სახარების განმარტებებში ჩვენთვის საინტერესო ადგილთან დაკავშირებით წერს შემდეგს: «...მშვიდობისმყოფელთა ძედ ღმრთისა წოდებად ღირსჰყოფს, რამეთუ მობაძავ მისა იქმნებიან ამით საქმითა... ესე იგი არს, რაითა ჩუენ შორის მყოფი იგი ბრძოლაი სულისა და ხორცთაი კაცადკაცადმან დავჰხსნნათ და მშვიდობაი ვყოთ ჭეშმარიტად, ოდეს იგი არღარა ადგილვსცეთ რჩულსა მას ხორცთასა წინაგანწყობად რჩულსა მას გონებისა ჩუენისასა, არამედ დავამორჩილოთ უდარესი იგი უაღრესსა მას მონებად ბრძანებათა უფლისათა და შუა კედელი ზღუდისაი მის დავჰხსნათ და ვქმნათ ორივე ერთად შეერთებითა მით და შეზავებითა კეთილისაითა. და ყოველივე იგი მძლავრებაი ბრძოლისა მის ვნებათაისა განვიოტოთ ჩუენგან: შური, ხდომაი, სიძულვილი, მრისხანებაი, ძვირისხსენებაი, ორგულებაი, ზაკუაი, გულარძილებაი, გულისთქუმაი ბოროტი, ზუაობაი და ყოველივე იგი ვნებათა სიმყრალე და დავაშენოთ მათ წილ შორის ჩუენსა: სიყუარული, სიხარული, მშვიდობაი, სულგრძელებაი, სიტკბოებაი, სახიერებაი, სარწმუნოებაი, ყუდროებაი, მოთმინებაი და სხუანი იგი მსგავსნი ამათნი.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ილორი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა იცი საქართველოს დედაქალაქზე?

როგორ აშენდა თბილისის ზოოპარკი

თბილისის ზოოლოგიური პარკი 1927 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმსაკომის დადგენილებით დაარსდა. მის მოსაწყობად მდინარე ვერეს ხეობაში 70-მდე ჰა (შემდეგ 120-მდე) მიწის ნაკვეთი გამოიყო. გათვალისწინებული იყო შემდეგი განყოფილებების ამუშავება, როგორიც გახლდათ: კავკასიის ანუ მხარეთმცოდნეობის, ფაუნის, ეგზოტიკური, სასოფლო-სამეურნეო, ცხოველთა...

ზოოპარკის გენერალური გეგმის შედგენაზე ერთობლივად მუშაობდნენ პროფესორი მანტეიფელი – მოსკოვის ზოოპარკის სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის ხელმძღვანელი, ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგი) ზოოპარკის არქიტექტორი სტეპანოვი და ქართველი მეცნიერები: ჩხიკვიშვილი, ჯანაშვილი. ცხოველთათვის ბუნებრივი გარემოს შესაქმნელად, შეძლებისდაგვარად, ხელოვნურად იქმნებოდა ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობები (კლდეები, ჩანჩქერები, აუზები)...

თბილისის ზოოლოგიურ პარკში წარმოდგენილი იყო კავკასიისთვის, კერძოდ, საქართველოსთვის დამახასიათებელი და ენდემური სახეობები: ჯიხვი, ნიამორი, არჩვი, ირემი, შველი, კოლხური ხოხობი, კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი. წლების განმავლობაში ზოოპარკის სამეცნიერო სექტორს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ზოოლოგი – არჩილ ჯანაშვილი. გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისის ზოოპარკში მიიღეს ჯიხვისა და შინაური თხის ჰიბრიდი – ჯიხვთხა, ასევე, ზებრისა და თუშური ჯიშის ცხენის ნაჯვარი – ზებროიდი (რომელიც თავის მშობლებთან შედარებით უფრო გამძლე); შეისწავლეს სხვადასხვა ცხოველის (ირემი, შველი, ჯიხვი, კვერნა, წითელი იხვი, ორბი, გიურზა) ბიოლოგია.

მაიმუნების ფსიქიკასა და სხვა თავისებურებებს სწავლობდა აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი. 1931 წელს ზოოპარკში დაარსდა პარაზიტოლოგიის ლაბორატორია. შეიქმნა ზოოლოგიური მუზეუმიც. ბევრი რამ დირექტორ განსონის ხელმძღვანელობისას (1934-1944 წლები) გაკეთდა. ის წლები თბილისის ზოოპარკის აღმშენებლობის პერიოდი გახლდათ. ამასთან, არაერთი სამეცნიერო ცდა ტარდებოდა. ასევე აითვისეს სპეციალურად გამოყოფილი მიწის დიდი ფართობი, აშენდა ახალი ნაგებობები და ვოლიერები, მოეწყო გაზონები და ყვავილნარები, ბოსტანი (იქ მოყვანილი მწვანილი და ბოსტნეული ცხოველთა საკვებად გამოიყენებოდა), ბავშვების გასასეირნებლად ზოოპარკის ტერიტორიაზე მოძრაობდა პონის ეტლი...

1935 წელს ზოოპარკში დაარსდა ბიოლოგიური სადგური, რომელიც 1938 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა. უდიდესი ყურადღება ექცეოდა ზოოპარკის ბინადართა ჰიგიენას, კვებასა და რეჟიმს, მათ მკურნალობას, გამრავლებას, განსაკუთრებით, ბეწვიანი ნადირების მოშენებას. 1936 წელს ჯანაშვილის რედაქციით გამოიცა თბილისის ზოოპარკის პირველი გზამკვლევი. 1938 წელს თბილისის ზოოპარკში მოსკოვიდან ჩამოიყვანეს პირველი სპილო – 3 წლის სპლიყვი, ასევე, შიმპანზე, ბეჰემოთი, ავსტრალიური და ამერიკული სირაქლემები, თუთიყუშები, ავსტრალიური შავი გედები, რაც იმდროინდელი ზოოპარკის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო. ამ ფაქტის გამო მთელი ქალაქი აფიშებით გახლდათ აჭრელებული, რომლებიც თბილისელებს ახალი მობინადრეების შესახებ ამცნობდა. თბილისის ზოოლოგიური პარკის მეცნიერ-მუშაკები მუდმივად აწარმოებდნენ დაკვირვებას ფრინველებსა და ცხოველებზე, რის შედეგადაც აქვეყნებდნენ სამეცნიერო ნაშრომებს.

1993-1994 წლებში კი თბილისის ზოოპარკი, როგორც არასდროს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს იქაურობას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. იმ დროს ბევრი ცხოველი შიმშილისგან დაიხოცა და ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულები იყვნენ, ერთი მკვდარი ცხოველით მეორე გამოეკვებათ...

ასეთი გახლავთ ჩვენი ზოოპარკის ისტორიული წარსული...

მოამზადა ლალი ფაციამ

სპორტის სამინისტრო გურამ მინაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ქართველი კალათბურთელის, გურამ მინაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყება სამძიმრის წერილს ავრცელებს, რომელშიც გარდაცვლილის ოჯახსა და მეგობრებს თანაგრძნობს უცხადებს.

"სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი კალათბურთელი გურამ მინაშვილი და თანაუგრძნობს ოჯახსა და მეგობრებს.

გურამ მინაშვილი 1960 წლის ოლიმპიადის და 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორია, 1957, 1959 და 1963 წლებში სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატი, 1962 წელს კი, თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. იყო სსრკ ჩემპიონი და პირველობის რამდენიმეგზის პრიზიორი.

კარიერის დასრულების შემდეგ გურამ მინაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას", – ნათქვამია უწყების წერილში.

სააკაშვილმა ღვთისმოსავობის დასამტკიცებლად იცრუა? – რა ტყუილში გამოიჭირეს ექსპრეზიდენტი

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა "რუსთავი 2"-ის გადაცემა "არჩევანში" აღნიშნა, რომ იგი ფუნდამენტურად მორწმუნე ადამიანია და სჯერა, რომ ღმერთმა ბევრჯერ გადაარჩინა. გარდა ამისა, სააკაშვილმა ბავშვობა გაიხსენა და მოჯვა, რომ მეშვიდე კლასში, ლურჯ მონასტერში სალოცავად მისული გამოაძევეს, რის გამოც, მთელი დღის გატარება პოლიციის შენობაში მოუხდა.

თუმცა, თუ დავეყრდნობით საიტ **saunje.ge**-ზე განთავსებულ ინფორმაციას, მასში ნათქვამია, რომ საბჭოთა პერიოდში, 1950-იან წლებში, ლურჯ მონასტერში სამხერხაო იყო მოწყობილი, მოგვიანებით კი მედიცინის ისტორიის მუზეუმი. მონასტერში ღმრთისმსახურება მხოლოდ 1990 წელს აღდგა და ჩიჟოვისეული ხახვისებრი გუმბათიც კარვისებრი გადახურვით შეიცვალა.

თუ გადავავლებთ თვალს ცრუპენტელობაში გაწაფული მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფიას, მასში ნათქვამია, რომ სააკაშვილმა 1984 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა. რაც იმას ნიშნავს, რომ მისი "მეშვიდეკლასელობის" დროს აღნიშნული მონასტერი საერთოდ არ ფუნქციონირებდა და ყოფილი პრეზიდენტი სამხერხაოში ან მედიცინის ისტორიის მუზეუმში თუ შეეიდოდა სალოცავად.

უზუსტობა უყურადღებოდ არც დაკვირვებულ მკითხველს დარჩა. როგორც თბილისის ფორუმზე ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი წერს, სააკაშვილმა იცრუა, როდესაც მისი ღვთისმოსავობის დამამტკიცებელ არგუმენტად აღნიშნული ისტორია გაიხსენა.

"ბატონებო, ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა თავისი "ღვთისმოსაობის" დასამტკიცებლად ასეთი რა თქვა: "ერთხელ ლურჯი მონასტრიდან გამოგვაძევეს და მთელი დღე მილიციაში ვიჯექი, მაშინ მეშვიდეკლასელი ვიყავი"

მინდა მორიდებით გამცნოთ, რომ ეს ამბავი სიცრუეა...

ახლა კი დასაბუთება: – ლურჯი მონასტერის შესახებ თითქმის ყველა ისტორიულ თუ ლიტერატურულ საბუთებში ასეთი რამ წერია: "1950-იან წლებში ტაძარში სამხერხაო იყო მოწყობილი, მოგვიანებით კი მედიცინის ისტორიის მუზეუმი. 1990 წელს ღმრთისმსახურება კვლავ აღდგა და ჩიჟოვისეული ხახვისებრი გუმბათიც კარვისებრი გადახურვით შეიცვალა", – წერს ფორუმელი.

მოკლედ, სააკაშვილის მორიგი ნაბოდვარი ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, მოწმენდილ ცაზე, ღრუბელ-რუბელ მიფრინავდა ბათუმისაკენ, რათა მისი ვერტმფრენი რუსებს არ შეემჩნიათ.

"პოლიტიკური დეზერტირი, რომელსაც არ გააჩნია პრინციპები და სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა" – ცნობილი მწერალი დავით საყვარელიძის შესახებ

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მწერალი და დოკუმენტალისტი პაატა ქურდაძე დავით საყვარელიძის უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე დანიშვნას "ფეისბუქის" პირად გვერდზე ეხმაურება.

"მე, რა თქმა უნდა, არავითარი პრეტენზია არ შეიძლება გამაჩნდეს იმ ქართველების მიმართ, რომლებიც უკრაინაში მუშაობა დაიწყეს მაღალ თანამდებობებზე, ეს მართლა უკრაინის შიდა საქმეა და ღმერთმა ხელი მოუმართოთ თავიანთ ნებისმიერ არჩევანში - განსაკუთრებით ღღეს! ის კი არა, მოქმედი ხელისუფლების შემყურე, ვფიქრობ, რომ არც ქართულ აღმასრულებელ ხელისუფლებას აწყენდა ზოგიერთ თანამდებობებზე უცხოელების ჩამოყვანა თუ კი უკეთესი ადგილობრივი კადრი მართლაც არ არსებობს... (რაშიც ეჭვი მეპარება, მაგრამ მაინც)

მხოლოდ ერთი დანიშვნის შესახებ გამიჩნდა კითხვა...

არჩეული პარლამენტარის სტატუსი, თუ არ მეშლება, ბევრად მეტს ნიშნავს ვიდრე უბრალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონერის, რადგან მას მინიჭებული აქვს ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობისა და იმედის მანდატი, ეს კი ბევრად დიდი პატივი და ტვირთია, ვიდრე უბრალოდ კარიერული წინსვლა და "კარგი" სამსახური. ამიტომ რჩეულისგან იმედის გაცრუება ბევრად უფრო მტკივნეულად და ამორალურად აგამოიყურება, ვიდრე დანიშნული აღმასრულებელი ფუნქციონერისაგან. პარლამენტარი (ხაზს ვუსვამ, კიდევ ერთხელ – პარლამენტარი) რომელიც ამომრჩევლის მიერ მიცემულ მანდატზე, მეტიც (სავარაუდოდ) საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარს ამბობს და მიდის სხვა, თუნდაც მეგობარი ქვეყნის სამსახურში (სავარაუდო პრეტექსტით რომ თავისი კომპეტენციით იქ უფრო მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე თავისი ამომრჩევლისთვის), ჩემი აზრით, უბრალოდ კლასიკური ოპორტუნისტი და პოლიტიკური დეზერტირია, რომელსაც აბსოლუტურად არ გააჩნია არც პრინციპები და არც სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა.... მე, რა თქმა უნდა, დავით საყვარელიძე მყავს მხედველობაში. იმედი მაქვს, ამ კაცს ქართულ პოლიტიკაში აღარასდროს ვიხილავთ. ჩემი აზრით, ეს უნიკალური და სამარცხვინო შემთხვევაა და სულაც არ არის საამაყო, როგორც ეს "ნაციონალების" მხარდამჭერებს გონიათ... თორემ დევნილი ემიგრანტი ადეიშვილი, ან თვით ფლეტჩერის სკოლის უშტატო ლექტორი სააკაშვილი თუ უკრაინის პრეზიდენტის უშტატო მრჩეველი გახდება, ეს ნამდვილად არ არის რაიმე განსაკუთრებული ტრაგედია – იმის და მიხედვით – ქართული იუსტიცია შეძლებს თუ არა მათი ბრალდებების დამტკიცებას საერთაშორისო მასშტაბით, ისინი ან უკრაინის ან საქართველოს ხელისუფლების პრესტიჟის პრობლემად გადაიქცევიან. მანამდე კი ხომ გაგიგიათ – თუ ვერ დაიჭირე ქურდი არ არის!

აქვე მინდა დავამატო ინტრიგანებისათვის – რომ ზუსტად იგივეს დავწერდი საყვარელიძის ნაცვლად ნებისმიერი სხვა პარტიის, ფრაქციისა თუ კოალიციის წევრ დეპუტატს რომ დაეტოვებინა მანდატი და მოქალაქეობა – უცხოეთში "უკეთესი" სამსახურის შოვნის გამო. ხოლო პარლამენტის წევრი რომ ვიყო, ამ კაცს და მის ფრაქციას ახსნაგანმარტებას მოვთხოვდი".

შეგახსენებთ, დავით საყვარელიძე უკრაინის გენერალურმა პროკურორმა, ვიქტორ შოკინმა პირველი მოადგილის პოსტზე წარადგინა.

უკრაინული მედიის ცნობით, საყვარელიძე გენერალურ პროკურატურაში კადრებს, ევროინტეგრაციისა და უკრაინის პროკურატურის რეფორმირების საკითხებს უხელმძღვანელებს. საქართველოს პარლამენტში საყვარელიძეს ეკა ხერხეულიძე შეცვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო განცხადება

ცოტა ხნის წინ ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ თითქოს ტელერხ "რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორის, საინფორმაციო სამსახურის უფროსის და საავტორო პროგრამა „პოსტკრიპტუმის" წამყვანის სახელზე გაგზავნილია მიმართვა არაკონტროლირებად გალის რაიონის ტერიტორიაზე გამოცემული წიგნის – "ჩქინი ნინას" ავტორის სახელით...

შესაძლო პასუხის მისაღებად, რატომღაც მიმართვაზე მითითებული ყოფილა ჩემი სახელ-გვარი და მისამართი! ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე და პირდაპირ ვაცხადებ, რომ არანაირი შეხება მიმართვასთან მე არ გამაჩნია და, ბუნებრივია, არც ველოდები მასზე რამე პასუხს! აშკარაა, რომ ყოველივე ეს გახლავთ წმინდა წყლის პროვოკაცია, რომელიც მიზანმიმართულია პიროვნულად ჩემი, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" და, რასაკვირველია, მისი თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას დისკრედიტაციისათვის!

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ვაცხადებ პროტესტს და მოვუწოდებ ჩვენი დისკრედიტაციის მოსურნე ყველა ძალას თუ პერსონალიას ამიერიდან თავი შეიკავონ ამგვარი არაკორექტული ქმედებებისაგან!

ზურაბ კვარაცხელია
27-02-2015 წ.

რეზო ჩხეიძე: სტალინი ის ქართველი იყო, რომელმაც ყველა დააჩოქა, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა უნდოდა

ერთი კეთილი სიტყვის მადლი მთებს დაგაძვრევინებს...

"როცა სანაპიროზე ელგუჯა ამაშუკელის "ვეფხისა და მოყმის" ქანდაკებას ჩავუვლი, როგორც ეკლესიასთან, ისე ვიწერ პირჯვარს"...

რეზო ჩხეიძესთან ფრიდონთან ერთად მივედი,– ის ჩვენი გაზეთის ფოტოგრაფია და "ეკლებზე იჯდა" – გადაღებაზე მაგვიანდებაო! მასპინძელმა კი ბოდიში შემოგვითვალა, – რამდენიმე წუთი შემაგვიანდებაო – ტელეინტერვიუს იწერდნენ თურმე. რამდენიმე წუთი თითქმის ერთ საათად იქცა. ოპერატორებმა,– რა გვექნა, როცა ბატონი რეზო ლაპარაკობს, დროს ვეღარ გრძნობო! მე და ფრიდონსაც ასე დაგვემართა – როგორ შეიძლებოდა, არ მოგვესმინა – გვესაუბრებოდა ცხოვრებაზე, უფრო მეტად კი სიკეთესა და სიყვარულზე... საუბარი კინოთი დავიწყეთ.

– თქვენ გინახავთ ზაზა ურუშაძის **"მანდარინები"** ან გიორგი ოვაშვილის **"სიმინდის კუნძული"**? – ეს გენიალური ფილმია! ცრემლს ვერ ვიკავებდი, როცა ორივე ფილმს ვუყურებდი! დაიხსომეთ, ის აუცილებლად ათქმევინებს მსოფლიოს, რომ ქართული კინოფენომენი დაბრუნდა (ამ სიტყვებიდან 3 დღეში ორივე ფილმი **"ოსკარზე"** წარადგინეს. – ე.ე.). სიტყვა **"ფენომენი"** განსაკუთრებულს ნიშნავს; ჩვენ, ვისაც არც ისე ბევრი გვიცნობდა, მსოფლიოს სწორედ ამ განსაკუთრებულის შექმნის ნიჭით ვაოცებდით. მახსოვს, სადაც ჩვენს ფილმებს უჩვენებდნენ, ქუჩაში ხალხი ტაშს გვიკრავდა – **"ბრავო, ჯეორჯიას!"** ძახილით. ვერ ვიკავებ ცრემლს, როცა მეკითხებიან,– ბატონო რეზო, ქართულ კინოს რა მოუვიდაო? ეს მოსკოვშიც მკითხეს. ამ ხნის კაცი დავიბენი, სიტყვა ვეღარ მოვატრიალე და მოვბოდე,– ახალგაზრდა რეჟისორები ახალი იდეებით მოვიდნენ, თავის სტილს ეძებენ, მოძებნიან და კინო იქნებამეთქი! მაგრამ ასე რომ არ არის... სახელმწიფო კინემატოგრაფს ვერაფერს აძლევს. არადა, ფილმებს დიდი ფულის შემოტანა შეუძლია. გასაგებია, რომ კინო ის ხელოვნება არ არის, სადაც ფულს ერთ ფილმში დახარჯავ და მერე უნდა დაელოდო, როდის მოგაგებინებს მილიონებს, ბევრი სურათი უნდა გადაიღო და რომელიმე უსათუოდ შემოიტანს მილიონებს. როცა კინოსტუდია **"ქართულ ფილმს"** ვხელმძღვანელობდი, ახალგაზრდა რეჟისორებს წელიწადში 20-25 ფილმს მაინც ვაძლევდი გადასაღებად და არც ერთს იმედი არ გაუცრუებია. ამასთანავე კინო მხოლოდ რეჟისორი და ფული არ არის – ფილმის გადაღებისას ვითარდება მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ხელოვნების ყველა დარგი... ჩვენ კი სწორედ ეს გვჭირდება, ხელოვნებით უნდა ვაჯობოთ ყველას, ჩვენი სული და ძლიერება ხელოვნებაშია, თუკი ამ სულს ჩავახშობთ, აღარაფერი გეშველება... და თუ ოდესმე გამოვფხიზლდით და მისი გაცოცხლება მოვინდომეთ, ამას წლები, ცრემლი და სისხლი დასჭირდება.

რახან სულზე ვლაპარაკობ და ამასაც ვიტყვი: ადრე წესად იყო, ფილმის, გადაღებული მასალის სანახავად ჭკვიან ხალხს ვიწვევდით.

თენგიზ აბულაძის **"ნატვრის ხის"** გასასინჯად მოვიწვიეთ პატრიარქი (მას ყოველთვის ვიწვევდით) – მაშინ ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტი. ჩვენებისას მის გვერდით ვიჯექი და როცა სცენა მივიდა იმ მომენტამდე, სადაც მღვდელი მეზობელ ქალს უბეში ხელს უფათურებს, წამიხდა საქციელი, გავშეშდი. არ ვიცი, როგორ შემატყო, გადმოიხარა და ჩუმად მითხრა: – ნუ ღელავთ, ბატონო რეზო, ასეთები დღესაც არიანო. და ამით ყველაფერი თქვა...

აი, ასე მივდივართ იმ ჭეშმარიტებამდე, რომ ცხოვრება კეთილის და ბოროტის ბრძოლაა. ამას ვერ აიცილებ, მაგრამ შენ ისე უნდა იცხოვრო, რომ ამ ბრძოლაში გაამარჯვებინო სიკეთეს და სინანულს, რადგანაც ხშირად ცდები... ასე მოდის სიკეთის კეთების მადლი – თუ მადლს შვრები, რა ძალის ბოროტებაც უნდა დაგეტაკოს, მისხალი სიკეთით მოერევი. რასაც ვამბობ, ცხოვრებით გამომიცდია და გზად შემხვედრია:

მამაჩემი 37-ში დახვრიტეს... მაგრამ სტალინი ის ქართველი იყო, რომელმაც ყველა ქვეყანა დააჩოქა, ვისაც ოდესმე ჩვენი დაჩაგვრა უნდოდა. მე მინდა, ისევ დაიბადოს მისნაირი და ჩვენი დაჩაგვრის მოსურნეები დააჩოქოს! და რატომ არის გასაკვირი, რომ სტალინზე ფილმის გადაღება მინდა?! დიახ, ჩვენი დაჩაგვრის მოსურნეები უნდა დავაჩოქოთ!

მახსოვს, როგორ მიიღო სამხატვრო საბჭომ **"ნატვრის ხე"**. ეს საბჭო თავის აზრს გამოთქვამდა ფილმის ეკრანზე გამოსვლამდე.

დასრულდა ჩვენება, შუქი აინთო და ყველა მუნჯივით ზის. თენგიზ აბულაძემ ამას ვეღარ გაუძლო – უნდა გავიდეო. რომ დაბრუნდა, მის დანახვაზე საოცრება დატრიალდა... ყველა ფეხზე ადგა და ტაშს უკრავდა. ნოდარ დუმბაძის ცრემლები მახსოვს, მუშტით იწმენდდა...

თუკი რაიმე კარგი გავაკეთე ცხოვრებაში, ძირითადად იმ სამი ადამიანის დამსახურებაა, რომელმაც სიკეთის ფარანი ამინთო. პირველი ქუთაისში ჩემი სკოლის დირექტორი თამარ დახუნდარიძეა. როცა **"ხალხის მტრის შვილი"** გავხდი, მან თავის კაბინეტში შემიყვანა, გულში ჩამიკრა და მითხრა, არ ინერვიულო, მამაშენი პატიოსანი კაცია, ძველებურად განაგრძე სწავლა და შენ გვერდით ვიდგებიო. იმხანად ეს სასწორზე სიცოცხლის დადებას ნიშნავდა. მამას დახვრეტის შემდეგ სახლიდან რომ გამოგვასახლეს და არ ვიცოდით, სად წავსულიყავით, ქუჩაში ჩამოვლილმა უცხო კაცმა, ლადო მაჭავარიანმა წაგვიყვანა თავის სახლში 6 თვით. მესამე უცნობი ჩეკისტია, რომელმაც გამოსახლებისას ნუსხაში არ შეიტანა ჩვენი როიალი, რომელიც გავყიდეთ და რამდენიმე თვე თავი ამ ფულით გავიტანეთ... ზოგჯერ ერთი კეთილი სიტყვის მადლიც მთებს დაგაძვრევინებს. როცა **"დონ კიხოტის"** გადაღება დავაპირე, იმ დროს ესპანეთში ჩემს მეგობარს ანტონიო ალვარესს პატარა ფილმეთ, ამას წლები, ცრემლი და სისხლი დასჭირდება.

კერძო სტუდია ჰქონდა. 1939-ში სტალინმა რომ ესპანელი ბავშვები ჩამოიყვანა, ანტონიო ერთი მათგანი იყო. ჩვენ მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ვსწავლობდით ერთად. **"დონ კიხოტის"** გადაღებაზე კი სახელმწიფო მოლაპარაკება მიდიოდა, – ხელშეკრულებისთვის ესპანეთის მინისტრს უნდა მოეწერა ხელი. საშინლად ვღელავდი და აი, ასე გულგახეთქილი შევდივარ სამინისტროში, ჩერდება მანქანა და გადმოდის ანტონიო – რეზო, ნუ ღელავ, თუ ხელშეკრულება არ დაგიმტკიცეს, ფილმის გადასაღებ ფულს მე გიშოვიო! ვიგრძენი, როგორ გამაძლიერა ამ სიტყვებმა, – ნერვიულობა გაქრა და ისეთი შინაგანი ძალა მომეცა, მივხვდი, ეს საქმე აუცილებლად გამოვიდოდა.

– თქვენზე ამბობენ, რომ სიტყვის ძალით ბევრ საქმეს აკეთებდით.

– საქმეს ჩვენი წინაპრებისაგან მიღებული სულიერი სიბრძნე და ტრადიციები მაკეთებინებდა. განა ვინმე მეტყვის, რა შეძლო **"ვეფხისტყაოსანმა"** ქართველი ერისთვის? მაგრამ როცა ქართველი ამბობს, მე ტარიელი ვარო, ეს იმას ნიშნავს რომ მის სასიცოცხლო ძალებს ისევ **"ვეფხისტყაოსანი"** ამოძრავებს. მარტო **"ვეფხისტყაოსანი"**, არა, – აბა, დავაკვირდეთ, რა ენერგიაა ამ სტრიქონებში: **"იქნება, ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედაც ტირისა, /წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, /ისიც მიამბობს ამბებსა, /მეც ვუთხრა ჩემი შვილისა"**. სწორედ ამიტომ, როცა სანაპიროზე ელგუჯა ამაშუკელის **"ვეფხისა და მოყმის"** ქანდაკებას ჩავუვლი, როგორც ეკლესიასთან, ისე ვიწერ პირჯვარს.

– ამის შემდეგ სტალინზე ფილმის გადაღება როგორღა გინდათ?

– მამაჩემი 37-ში დახვრიტეს... მაგრამ სტალინი ის ქართველი იყო, რომელმაც ყველა ქვეყანა დააჩოქა, ვისაც ოდესმე ჩვენი დაჩაგვრა უნდოდა. მე მინდა, ისევ დაიბადოს მისნაირი და ჩვენი დაჩაგვრის მოსურნეები დააჩოქოს! და რატომ არის გასაკვირი, რომ სტალინზე ფილმის გადაღება მინდა?! დიახ, ჩვენი დაჩაგვრის მოსურნეები უნდა დავაჩოქოთ!

– დღევანდელ ხელისუფლებაზე რას იტყვით?

– ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი ისეთი დაპირება გასცა, რომლის შესრულება იოლი არ აღმოჩნდა. როგორი ასატანია, როცა თუნდაც ერთი კაცი სიტყვას გაძლევს და არ ასრულებს, მით უფრო ჩვენი ერისთვის, რომლისთვისაც სიტყვის მიცემა და მისი შესრულება უმაღლესი დირებულება იყო. ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენასთან. თუ კაცი ფიქრობს, სამართალი არ არსებობსო, მის გულს ვეღარ მოიგებ... გარდა ამისა, კადრების დეფიციტია, – ბევრმა თანამდებობა მიტინგებზე აქტიურობის გამო მიიღო და აღმოჩნდა, რომ საქმის გაკეთება არ შეუძლია. ზოგჯერ ტელევიზორს გაოგნებული მივჩერებივარ – ვერ ვხვდები, კაცი რას ლაპარაკობს, რა უნდა... ამას ისიც ემატება, რომ ხელისუფლებამ ამ ხნის განმავლობაში მართლაც გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკიც ვერ ისწავლა... ზოგადად პოლიტიკაზე კი ერთ რამეს ვიტყვი,– ჩვენ ვართ ქვეყანა, რომლისთვისაც მუდამ ორი სახელმწიფო ებრძოდა ერთმანეთს. ეს ახლაც ასეა. ამიტომაც როცა ხელისუფლება ბრძენია, მან ისე უნდა ითამაშოს, რომ მტრად არც ერთი არ მოიკიდოს...

ახლა ჩემი უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაც გამახსენდა მოსკოვში, როცა შევარდნაძემ ამ დეპუტატობის მედალი მომცა, ძალიან დამამძიმა – მაღალი ხარისხის კომფორტი ჰქონდა. ეს მასაც ვუთხარი; ერთი კი შემომხედა და,– ხომ არ გგონია, ეგ მედალი შენ მოგეცი, როცა მოსკოვში სცენარებს ჩაიტან დასამტკიცებლად, შემოდავება ვერავინ გაგიბედოსო. იმ მედლით ქართულმა კინომ მართლაც ისარგებლა. თუმცა, გულახდილად ვიტყვი, როგორც ახლა, ჩემს ასაკში სიყვარული მხვდება, მეჩვენება, რომ ასეთი არასოდეს მქონია, – უპირველესად, მამისეული სახლი დამიბრუნდა ქუთაისში. მინდა ამ სახლში ახალგაზრდა რეჟისორთა სკოლა გავხსნა. ამ დღეებში 88 წლის გავხდი და იმდენი სამადლობელი სიტყვა მითხრეს, ჩემი ყველა ტვირთი იმწუთას ერთი ხელის მოსმით გაქრა. დარბაზში სახედარიც კი შემოიყვანეს, **"მაგდანას ლურჯას"** გასახსენებლად, ეს როგორ შეიძლება დამავიწყდეს! არც იმაზე უკეთესი პატივი მქონია, რაც დღეს ქუჩაში გასვლის დროს მხვდება, როცა დედა-შვილი მოდის და დედა შვილს ეუბნება, – აი, ეს არის რეზო ჩხეიძე, დაიმახსოვრეო. არ ვიცი, ვიმსახურებდი თუ არა ჩემი ცხოვრებით ამას, მაგრამ ბედნიერი ვარ. ისე კი, რაც ვაკეთე, უმთავრესად ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთე,– მე ასე მგონია.

"მაგდანას ლურჯა"

ახალკურსდამთავრებულები ვიყავით, მე და თენგიზ აბულაძემ **"მაგდანას ლურჯას"** გადაღება რომ დავიწყეთ. მაშინდელმა სტუდიის დირექტორმა თითქმის უკვე დასრულებული ფილმის გაგრძელება აგვიკრძალა, – არ მომწონსო! მაშინ შემოქმედთა სექციამ გადაწყვიტა, რომ ჩვენი ნამუშევარი ქართველი მწერლებისთვის ეჩვენებინა, რათა იმათ ეთქვათ, ღირდა თუ არა ამ ფილმის გადაღება. ერთ მშვენიერ დღეს დაუძახეს ქართველ მწერლებს და აჩვენეს **"მაგდანას ლურჯა"...**

ვდგავართ მე და თენგიზი აწურულები. ამ დროს იღება კარი და შემოდის გალაკტიონი თავისი **"პორტფელით"**. გავოგნდით, ეს კაცი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და არსადაც არ დადიოდა. სხვებიც გაოგნებული უყურებდნენ. მწერალი დემნა შენგელაია ჩემი ბიძა იყო, მეგონა, იმან უთხრა-მეთქი, მაგრამ ხელი გამიქნია,– ეგ რამდენი ხანია, არ შემხვედრიაო. გალაკტიონი დაჯდა, ბოლომდე უყურა კადრებს, მერე ადგა და უცებ... ვინც ეს ფილმი გააჩერა, მე იმისიო... შეიგინა და წავიდა! აკაკი ბელიაშვილმა ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლი მოიწმინდა, ეკრანს შეხედა და: – ამ ეკრანს ბევრი კარგი ფილმი უნახავს, მაგრამ რაც ამ ბიჭებმა გვიჩვენეს, – მსგავსი არასოდესო! მეორე დილას უკვე გამოკრული იყო ბრძანება ფილმის გაგრძელების შესახებ.

ე. ერაძე

ჟურნალ „სამი საუნჯის“ მთავარი რედაქტორი გრიგოლ რუხაძე: „უკრაინელი ცრუპატრიარქისა და ქართველი მასხარების შესახებ...“

რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა უკრაინაში მებრძოლი ქართველები დააჯილდოვა. ღონისძიებას დასწრებიან მ. სააკაშვილი და უკრაინაში გახიზნული ნაცმოძრაობის სხვა წარმომადგენლები. ბუნებრივია, რელიგიურ საკითხებში გაურკვეველი მკითხველი ასეთ ცნობას კრიტიკის გარეშე იღებს და ფილარეტს, რამდენადაც მას მედია „პატრიარქს“ უწოდებს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელად მიიჩნევს, რომელიც ქართველ მებრძოლებთან ერთად დამნაშავე ექსპრეზიდენტსა და მის ბანდას პატივს მიაგებს.

სინამდვილეში, ყოფილი მღვდელთმთავარი ფილარეტ დენისენკო თვითმარქვია პატრიარქია, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოს მიერ ხარისხი აყრილი აქვს და რომელიც ანათემაზე არის გადაცემული. თვითგამოცხადებული „კიევის საპატრიარქო“, რომელსაც ფილარეტი მეთაურობს, კანონიკურად არც არსებობს, ანუ არც ერთი ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესია მას არ აღიარებს (გარდა ზოგიერთი ქართული მედიისა, სააკაშვილისა და მისი მიმდევრებისა). აქედან გამომდინარე, ვინც ფილარეტის დაჯგუფების თანამოზიარე გახდა, ის თავისთავად ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხეთქილებაში იმყოფება.

ნაცების სქიზმატიკოსობა რა გასაკვირია, მაგრამ ფილარეტის ჯილდოებით გახარებულმა მოხალისე ქართველებმა თუ იციან, ვისგან იღებენ პატივს? ჩემთვის, მაგალითად, ამ ფაქტის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ მებრძოლებისთვის დამნაშავე სააკაშვილის გვერდით დგომა და ერთმორწმუნე რუსთა სიძულვილი უფრო მეტად განსაზღვრავს მათ მისწრაფებებს, ვიდრე სამშობლოს ინტერესები, რომელსაც, მათი ტრაფარეტული განმარტებით, უკრაინაში ბრძოლით იცავენ. რა უბედური ერი ვართ! ადამიანები აბსურდის თეატრში თავს მართლა სწირავენ! ოდნავ მაინც რომ მჯეროდეს, ამ მოხალისეებს საქმიანი მსჯელობა დაფიქრების სურვილს აღუძრავდა, მწვავე შეფასებებსაც არ მოვერიდებოდით, მაგრამ სჯობს, ჩვენს მთავარ თემას დავუბრუნდეთ და რუსეთ-უკრაინის მღვდელთმთავართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები გადმოვცეთ, რომელთაც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, როგორც წევრი ერთი ეკლესიისა, უნდა ითვალისწინებდეს.

უკრაინელებს ახსოვთ, რომ ყოფილი ეგზარქოსი, კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი ადრე ყოველთვის ვრცლად და ლამაზად საუბრობდა იმაზე, რომ არავითარი გაყოფა არ შეიძლება მოხდეს და ავტოკეფალიის მოთხოვნა სქიზმატიკოსების მოგონილია. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის პატრიარქად სხვა აირჩიეს, იგი განაწყენდა, თავისი სამწყსოს სუსტი მხარეები გამოიყენა და ე. წ. კიევის საპატრიარქო შექმნა. მიუხედავად ამისა, უკრაინის ეკლესია რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კანონიკურ ერთობას ინარჩუნებს არა პოლიტიკური მიზნებისა და «მოსკოვის აგენტობის» გამო, არამედ იმიტომ, რომ ერთიანობით სიძნელეები უფრო ადვილად გადალახონ და ისედაც დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გართულებას არ შეუწყონ ხელი.

რუსებსაც და უკრაინელებსაც საერთო ისტორია აქვთ, ისინი ერთ ემბაზში მოინათლნენ, ერთსა და იმავე წმინდანებს ევედრებიან. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ნაწილია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, იგი იმდენად ფართო ავტონომიას ფლობს, რომ დამოუკიდებელი მმართველობის სრული უფლება აქვს მინიჭებული. მას ჰყავს თავისი საჭეთმპყრობელი, თავისი სინოდი და აქვს ყველა აუცილებელი პირობა იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელიც არსებული სახელმწიფოს საზღვრებში მას ესაჭიროება. ამიტომ რაღაც უფრო მეტის მიღების პრეტენზია და ცალკე გამოყოფის უსაფუძვლო სურვილი უკრაინის ეკლესიას არასოდეს გასჩენია.

ფილარეტის მიერ გამოწვეული განხეთქილება თავიდანვე პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა და უკრაინელი და რუსი ხალხების გაყოფისკენ იყო მიმართული. ოცი წლის წინ ამოქმედებული გეგმის მიხედვით, ჯერ ხალხი აღმსარებლობის პრინციპით დაყვეს, შემდეგ შეეცადნენ ენობრივი და პოლიტიკური პრინციპების გამოყენებას, ახლა კი ამ გათიშულობამ უკრაინა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა, რომელსაც მსხვერპლად მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება.

მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ამ კონფლიქტში რომელიმე მხარე არ უჭირავს, განსხვავებით ქართველი მებრძოლებისა და კათოლიკე მღვდლებისაგან, რომლებიც ჯვრებით ხელში მაიდანზე შეკრებილ მოქალაქეებს «ბერკუტის» შტურმისაკენ მოუწოდებდნენ. უკრაინელები მათ საქციელს არც გაუკვირვებია, რადგან წლების განმავლობაში ისინი ხედავდნენ, რომ პარტია «თავისუფლების» წინამძღვრობით მოსკოვის საპატრიარქოსთვის ჩამორთმეული ტაძრები შემდეგ სქიზმატიკოსებს ან კათოლიკეებს გადაეცემოდა.

მიტროპოლიტ ილარიონის (ალფეევი) სამართლიანი შენიშვნით, პარადოქსია, რომ უკრაინის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას, რომლის მეთაური რომში იმყოფება, უკრაინის ნაციონალურ ეკლესიად წარმოაჩენს, ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც უკრაინის მართლმადიდებელ მორწმუნეთა უდიდეს ნაწილს აერთიანებს, მოსკოვის მიერ მართულ ეკლესიას უწოდებს. მაშასადამე, რომიდან შეიძლება ეკლესიის მართვა, ხოლო მოსკოვიდან – არა. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ფაქტობრივად სრულიად დამოუკიდებელია, როგორც ფინანსური, ისე ადმინისტრაციული თვალსაზრისით. შენარჩუნებულია მხოლოდ ლოცვითი კავშირი. ერთადერთი წესი, რომელიც ადგილობრივი ეკლესიის სულიერ ერთობას ადასტურებს, ისაა, რომ უკრაინის ეპისკოპატის მიერ არჩეულ კიევის უნეტარეს მიტროპოლიტს მოსკოვის პატრიარქი ამტკიცებს.

ეს ერთობა მეტად ძვირფასია ორივე მონათესავე ერისათვის. ათასი წლის წინ ისინი ერთიანი რუსეთის შვილები იყვნენ და ქრისტეს ნათელსაც მაშინ ეზიარნენ. ამ დროის განმავლობაში პოლიტიკური საზღვრები ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესიაც საზღვრების შესაბამისად უნდა შეიცვალოს. მართლმადიდებელი ეკლესია ამ პრინციპს რომ გამოდევნებოდა, მაშინ, მაგალითად, აფრიკაში ალექსანდრიის საპატრიარქო 54 ჯუჯა ეკლესიად დაიყოფოდა, ხოლო ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც სირიისა და ლიბანის მორწმუნეებს აერთიანებს, ორად იქნებოდა გაყოფილი.

სამწუხაროდ, რთული პოლიტიკური ვითარებით სქიზმატიკოსები ყოველთვის სარგებლობენ. რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი კირილეს განცხადებით, მარტო მიმდინარე წელს ფილარეტის მიმდევრებმა ვინიცის, ტერნოპოლის, ლვოვის და სხვა ოლქებში 18 ტაძარი მიიტაცეს. მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის საპატრიარქო შეიარაღებულ დაპირისპირებულთა რომელიმე მხარის მოქმედებას პოლიტიკურ შეფასებას არ აძლევს და მოწინააღმდეგეებს მშვიდობისკენ მოუწოდებს.

ამრიგად, განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებელი ყველა მედია-საშუალება ვალდებულია, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გამო ბოდიში მოიხადოს და, მომავალში დილეტანტიზმისგან თავის დაღწევის მიზნით, ინფორმაცია მექანიკურად აღარ გაავრცელოს.

საქინფორმი

რუსებსაც და უკრაინელებსაც საერთო ისტორია აქვთ, ისინი ერთ ემბაზში მოინათლნენ, ერთსა და იმავე წმინდანებს ევედრებიან. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ნაწილია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, იგი იმდენად ფართო ავტონომიას ფლობს, რომ დამოუკიდებელი მმართველობის სრული უფლება აქვს მინიჭებული. მას ჰყავს თავისი საჭეთმპყრობელი, თავისი სინოდი და აქვს ყველა აუცილებელი პირობა იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელიც არსებული სახელმწიფოს საზღვრებში მას ესაჭიროება. ამიტომ რაღაც უფრო მეტის მიღების პრეტენზია და ცალკე გამოყოფის უსაფუძვლო სურვილი უკრაინის ეკლესიას არასოდეს გასჩენია.

გარდაიცვალა ნუგზარ ლატარია (მირიან ქართველი)

დედამიწიერ კაცობრიობას (მიწიერ ადამიანებს) ბევრ თავისებურებებთან ერთად, გააჩნიათ უდიდესი უარყოფითი თვისება, რომ გენიალური ადამიანები, რომლებიც დროთა დისტანციური შუალედებით ევლინებიან სამყაროს, შეუცნობი და დაუფასებელნი რჩებიან წუთისოფელში, უმრავლესობის მიერ. მხოლოდ მათი გარდაცვალებისა და გარკვეული დროჟამის გასვლის შემდგომ ვლინდებიან ისინი გენიალურ პიროვნებებად, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენენ.

გარდაიცვალა, მსოფლიო ხალხთა ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შემსწავლელი საზოგადოება **“პრომეთეოსის”**, წმინდა გრაალის თასის საძმოს თავკაცი, ქართულ სამება დამწერლობაში, სამება ენაში, ღვთაებრივ ბიბლიასა და სახარებაში ჩადებული საიდუმლო ინფორმაციის გამღებ-გამშიფრავი, ათვლის ეტალონის (ჭეშმარიტების საწყაოს) შემქმნელი, მეცნიერულ-მართმადიდებლური თორმეტი წიგნის ავტორი, ბატონ, ნუგზარ ლატარია (მირიან ქართველი).

ნათელი დაადგეს მას ქრისტეს მარადიულ გზაზე, ღვთის სასუფეველი დაემკვიდროს ზეციურ სავანეში. სამოთხისკენ 49 (ორმოცდაცხრა) შარა-გზა მიდის, მათ შორის ერთია მართალი – ქრისტეს გზა.

ქრისტეს გზა იყოს ბატონ ნუგზარ ლატარიას (მირიან ქართველი) შარა-სავალი!

გრაალის თასის საძმო

ზუგდიდის მუსიკალურ–ქორეოგრაფიულ ცენტრ „ოდიში"-ს კულტურის სახლის რეაბილიტაცია

სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს ზუგდიდის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ „ოდიში"-ს კულტურის სახლში. ამ ეტაპზე შეცვალა სავარძლები, ხალიჩა. მიმდინარეობს სცენის რეკონსტრუქცია. მოწესრიგდა სველი წერტილები, შეიცვალა კარები.

სარემონტო სამუშაოები მაღალი სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. სრული რეაბილიტაციის შემდეგ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს საშუალება მიეცემათ თანამედროვე ტიპის რეაბილიტირებულ ცენტრში განაგრძონ ფუნქციონირება.

ᲩᲔᲛᲘ ᲨᲗᲐᲑᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ჩხორიის საშუალო სკოლას თუ ასი წლის არსებობის ისტორია ჰქონდა, ვერ წარმოვიდგენდი, მეგონა საბჭოთა წყობილების შემდეგ იქნა ჩამოყალიბებული. ვერ წარმოვიდგენდი მეფის რუსეთის ცარიზმის დროს ეს თუ იყო შესაძლებელი. 1944 წელს ჩემი უფროსი და 7 წლის ასაკში შეიყვანეს სკოლაში, მე კი მხოლოდ 5 წლისა ვიყავი, არ მიმიღეს და ჟურნალში არ ჩამწერეს, მაგრამ სკოლაში სიარული არ დამიშალეს, ასე დავდიოდი, 2-3 თვე, მერე ისე გამოვიდა, რომ არცერთ მოსწავლეზე ნაკლებად არ ვსწავლობდი, ჩამრიცხეს და ჟურნალშიც ჩამწერეს.

ჩხორიის საშუალო სკოლა დავამთავრე 1954-1955 სასწავლო წელს, სწავლის დაწყებიდან დღემდე სკოლის კედლებთან გატარებული წლების ჩათვლით 100 წლის იუბილემდე გავიდა 67 წელი. სკოლის დამთავრების შემდეგ კი გავიდა 56 წელი, ნახევარ საუკუნეზე მეტი.

100 წლის იუბილე ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, სკოლის დირექტორის – იზოლდა ხვიჩავას, სასწავლო ნაწილის გამგის – მაყვალა ჯგუბურიას, საორგანიზაციო კომიტეტის წევრების: ვაჟა ფიფიას, დემურ კუხალეიშვილის და სხვების მიერ. ძალიან შთამბეჭდავი იყო საზეიმო სხდომა, რომელსაც ძალიან ახალგაზრდა და ასაკოვანი ადამიანები დაესწრნენ, გამოსვლა გამოსვლას ცვლიდა, არ წყდებოდა ოვაციები და ტაში დარბაზში, მისალმებები და სურვილების გაზიარებები, აღსანიშნავია სკოლის დირექტორის – იზოლდა ხვიჩავას, სასწავლო ნაწილის გამგის მაყვალა ჯგუბურიას და ვეტერანი მასწავლებლის 90 წლის პედაგოგის ზინაიდა ფიფიას გამოსვლები, ასევე აღნიშვნის ღირსია ვაჟა ფიდიას გამოსვლა, რომელმაც მისალმებასთან ერთად წაიკითხა ამავე სკოლის აღზრდილი პოეტის – დილარ ივარდავას ლექსი.

სიტყვაში გამომსვლელთა შორის აღმოვჩნდი მეც, ცოტა არ იყოს ეს ჩემთვის ისეთი მოულოდნელობა იყო, რამაც განაპირობა ჩემი ნერვიულობა და დაბნეულობა, ერთის მხრივ ეს ჩემთვის დაფასებაც იყო და სიხარულიც, რომ არა მოულოდნელობა. მინდა გავიხსენო კომუნისტების მმართველობის პერიოდი, კომუნისტებს ბევრი რამ ჰქონდათ კარგი, მათ შორის სიტყვაში გამომსვლელებს წინდაწინ აფრთხილებდნენ, ხოლო გამოსვლის წინ მოაზრებისა, მომზადებისა და კონცენტრაციისათვის აცხადებდნენ შემდეგში გამოსასვლელად. ჩემს შემთხვევაში არც ერთი მათგანი არ მომხდარა, მოულოდნელობისაგან დაბნეული წარვსდექი დიდი აუდიტორიის წინაშე, ისე როგორც უცოდინარი მოსწავლე მასწავლებლის წინაშე, არ ვიცი რა ვილაპარაკე, კარგი თუ ცუდი, შეიძლება ჩემი გამოსვლით ვინმეს ვაწყენინე, მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩემს თავში, უკადინებელს არ ვიკადრებდი და ცილს არავის არ დავწამებდი – ჩემი ცხოვრების კრედო ეს არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება, მაგრამ ის რაც ვნახე დივიდის დისკში ჩაწერილი ჩემი გამოსვლა, ძალიან გული მატკინა, დღემდე მე არ მშორდება თავიდან, ჩემი დაბნეულობა, ნერვიულობა და ცუდი გამოსვლა, დისკიდან ამოღებულმა მასალამ მთლად არარაობად აქცია იგი. ჩემი გამოსვლა თითქოსდა ლაპარაკის დაწყების მცდელობის მომენტშია შეჩერებული. საერთოდ, ფირზე ჩემი გამოსვლა რომ არ აღებეჭდათ, ჩემთვის უფრო სასიხარულო იქნებოდა, ვიდრე ასე უსუსურად ჩემი გამოჩენა, ის მომენტი მაინც ეჩვენებინათ, მე, რომ დავპირდი ჩემს მეგობრებს: ოთარ ჭითანავას, ზაურ ჩქვანავას, გიგლა ალშიბაიას, რომ მათ თხოვნას შევასრულებდი, და მათი ზეიმზე არ ყოფნის მყარ არგუმენტს წარმოუდგენდი, გამოდის მე ჩემი სიტყვა ვერ შევასრულე, მე ისინი მოვატყუილე, სინამდვილეში ასე არ ყოფილა, ვინც ფირზე გადაიღო, და ვისი ხელმძღვანელობით იქნა დამონტაჟებული, მათ შეეძლოთ ამოეღოთ ის მომენტი სადაც 1954-1955 წლების გამოშვებაზე დემურ კუხალეიშვილის წიგნში ერთი სიტყვაც რომ არ იყო თქმული, რაზეც მე ჩემი უკმაყოფილება გამოვთქვი, ასევე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვი წიგნის მიმართ, სკოლის ჟურნალიდან ამოღებული სიების შესახებ ოროსნებზე და კლასში ჩარჩენილ მოსწავლეებზე. ამისი გაკეთება არ შეიძლებოდა ეს პიროვნების კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევაა და არავის არა აქვს უფლება სახალხოდ იმსჯელოს ამაზე და შვილიშვილებმა, რომლებიც ამ წიგნს წაიკითხავენ, შენიშვნით და დაცინვით მიმართონ ერთმანეთს – შენი ბაბუა ან ბებია ოროსანი ყოფილაო და ბევრჯერ ჩარჩენილა კლასშიო, შეიძლება ჩემი გამოსვლით ვინმეს ვაწყენინე კიდეც, მაგრამ ეს მიზანმიმართული არ იყო, არც ის იყო მოზანმიმართული გაუფრთხილებლად ჩემი გამოძახება, გამოძახების ავტორს, ჩემი იმედი ჰქონდა, რაც მე ვერ გაუმართლე, თუ სხვებს „შპარგალკები“ ჰქონდათ და იყვნენ გაფრთხილებულნი, მეც შემეძლო მესარგებლა „შპარგალკით“ რაც ამ შემთხვევაში ნებადართული იყო.

მინდა გავიხსენო კომუნისტების დროს, რამოდენიმე ათეულების – 3-4 ათეული წლის წინათ მომიწია სიტყვის მომზადება და სიტყვაში გამოსვლა საქართველოს პროფსაბჭოს მე-16 ყრილობაზე. დაბარებული ვიყავი საქართველოს პროსაბჭოს მდივანთან – ზინაიდა კვაჭაძესთან მე ჩემი გამოსვლა წარუდგინე, არ მოეწონა გადახაზ-გადმოხაზა და მეორედ დამიბარა, ასე გაგრძელდა 12-ჯერ, არცერთი არ მოსწონდა, ყველას იწუნებდა, მეც ავიღე სულ პირველად დაწერილი ტექსტი, ხელახლა გადავწერე და მოვიტანე, ძალიან მოეწონა, (კომუნისტებში ბიუროკრატიული მანქანა კარგად მოქმედებდა) და მომცა უფლება ამ ტექსტით გამოვსულიყავი საქართველოს პროფსაბჭოს მე-16 ყრილობაზე, სადაც ნამდვილად არ მინერვიულია და არ დავბნეულვარ, როგორც თქვენს საზეიმო სხდომაზე. მე მხოლოდ ჩემს თავზე ვარ გაბრაზებული და დღემდე არ მშორდება ის აზრი და ალბათ დიდხანს გამყვება, რომ ძალიან ცუდი მოსწავლის შეხედულება დავტოვე დამსწრე აუდიტორიისა და თქვენს წინაშე, ამ დროს როდესაც, რამდენი კარგი მოგონებები მქონდა ჩვენს სახელოვან მასწავლებლებზე, რაც ჩემი ცხოვრების ბოლომდე არ დამავიწყდება. ჩემი მასწავლებლები და საერთოდ ჩხორიის საშუალო სკოლის მასწავლებლები დაამშვენებდა საქართველოს ყველა დონის ყველაზე ღირსეულ სკოლებს. მე მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ იმ დიდ პედაგოგზე, ნამდვილად ფენომენზე, როგორიც იყო გიორგი ფიფია. ჩემი შემდგომი სწავლის გაგრძელებისას, არც სასწავლებელში, არც უმაღლეს სკოლაში მოსკოვში, რომელიც უმაღლესი შეფასებით დავამთავრე, მე არ შემხვედრია იმ დონის ან გატოლებული მასზე პედაგოგი, როგორიც იყო გიორგი ფიფია. მინდა გავიხსენო რამდენიმე კურიოზი სკოლაში სწავლების პერიოდში; ჩვენი სკოლის მოსწავლე ჯუდუ ფიფიას ძალიან უჭვარდა ნადირობა, ერთ-ერთ კვირა დღეს, გიორგი ფიფიას სამეზობლოში ატეხა სროლა და დახოცა ბევრი შაშვი. ბატ. გიორგი ფიფიას ეს შეუმჩნეველი არ დარჩა, რა თქმა უნდა ჯუდუ ფიფიამ გაკვეთილების მომზადება ვერ მოასწრო და პირველ ოთხ გაკვეთილზე გამოიძახეს და ოთხივეზე 2-იანი დაუწერეს მეხუთე გაკვეთილი გვქონდა ბატონი გიორგი ფიფიასი, ბატონმა გიორგიმ ჟურნალი რომ ჩაათვალიერა და რომ ნახა ჯუდუ ფიფიას ოთხი ორიანი ჰქონდა ჩამწკვრივებული, უთხრა საცოდავ ფიფიას: „წიე გოღვა ზესქვებს კუდელი ქგაპუტორინი, ამდღა სქანდა გუგუპუტორაფნანო“. ეს ისე ლამაზად იყო ნათქვამი ამისი დავიწყება შეუძლებელია. ბევრი სხვა რამე, რომელიც ჩვენს სახელოვან სკოლაში ვისწავლე მახსოვს, ხოლო რაც შემდეგ სწავლის გაგრძელების პერიოდში ან სულ არ მახსოვს, ან ნაკლებად მახსოვს, რადგანაც ჩვენი სკოლა იყო ჩვეთვის ცოდნის საფუძველიც და საძირკველიც, რომელიც დაკომპლექტებული იყო ღირსეული პედაგოგებით.

ბატ. გიორგი ფიფიას გაკვეთილზე, გაკვეთილ-მოუმზადებელი ამოცანა ან მაგალით-ამოუხსნელი ვერ ვბედავდით მოსვლას (ასეთები იყვნენ სხვა პედაგოგებიც), მაგრამ მე გავამახვილე ყურადღება მათემატიკაზე, რადგან ის უფრო რთული საგანი იყო ვიდრე სხვა, ამიტომ ინდივიდუალურად თუ ვერ ამოვხსნიდით, ვიკრიბებოდით კოლექტიურად და მიზანს ვაღწევდით, მაგრამ მოხდა ისე, რომ კოლექტიურადაც ვერ ამოვხსენით, მაშინ ერთად-ერთი გზა რჩებოდა, მიგვეტანა თვითონ ბატ. გიორგისათვის, მას ეს არათუ აწუხებდა ან დროს ართმევდა, პირიქით უხაროდა კიდეც, როდესაც გამოგვკითხა თუ ამოხსნის რა მეთოდები ვიხმარეთ, გაიცინა და გვითხრა: ძველი ცოდვები მოგდევთ ბიძიაო: „თუ ჩვენ აქ გამოვიყენებთ მართი კუთხის წვეროდან ჰიპოტენუზაზე დაშვებული პერპენდიკულარიო“ – და რამოდენიმე წამში ამოხსნა ამოცანა, ის რაც ჩვენ ვერ ამოვხსენით საათების განმავლობაში ბატ. გიორგი ფიფიას მხოლოდ წამები დასჭირდა, შეიძლება მე რაღაც უზუსტობა დავუშვი მოხსნის პრინციპთან დაკავშირებით, მაგრამ მე მიხარია, რომ ის მახსოვს 58 წლის განმავლობაში, ალბათ ძალიან საინტერესოა, იყო თუ არა გიორგი ფიფია მკაცრი და ორიანებს თუ წერდა, რა თქმა უნდა მომთხოვნი იყო, ორიანებსაც წერდა, კანონზომიერად, ერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც დაფასთან გამოიძახა ერთ-ერთი მოსწავლე (მან რადაცა ილაპარაკა, ალბათ არასრულყოფილად), მას გიორგი მასწავლებელმა ორიანი დაუწერა, მე მახსოვს მისი გვარი და სახელი, მაგრამ არ ვასახელებ, მე ამისი არანაირი უფლება არ გამაჩნია, როდესაც მოსწავლემ, დღეს კი ქალბატონმა ტირილი დაიწყო ბატონმა გიორგიმ დამშვიდება დაუწყო, და ის სიტყვები რაც მან უთხრა ალბათ არასოდეს არ დამავიწყდება, რამდენად ლოგიკური იყო ის სიტყვები ამის მტკიცებას არ მოვყვები, მაგრამ იმ ქალიშვილზე დადებითად იმოქმედა, გიორგი მასწავლებელმა მოსწავლეს მიმართა: დამშვიდდი ბიძია, ორიანი ეს იმას ნიშნავს, რომ გაკვეთილი იცი, მაგრამ სუსტად იცი, არცოდნის ნიშანია ერთიანიო, მართალია მე მასწავლებელი არ ვყოფილვარ, მაგრამ ბატ. გიორგი ფიფიას ასეთი შეფასება ბევრჯერ გამომიყენებია, მიცემული დავალების შესრულების შეფასების დროს მიხმარია უცოდინარობის ერთბალიანი გიორგისეული შეფასება, ამიტომაც არ მიეცა ის დავიწყებას, ჩემს ლექსიკონში.

ბატ. გიორგი ფიფია იყო ფენომენი და ასეთი მასწავლებლების ხელში ვიზრდებოდით, საამაყოა ჩემთვის, ასეთი სახელოვანი სკოლის კურსდამთავრებული რომ ვარ.

1980 წელს 1954-55 წ.წ. კურსდამთავრებულებმა ბ-ნ დათო კუხალეიშვილის ხელმძღვანელობით, მისი ორგანიზატორობით ჩაატარეს სკოლის დამთავრების 25 წლის იუბილე. ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო ის, რომ ბევრი ჩვენი ღვაწლმოსილი პედაგოგი ესწრებოდა ამ იუბილეს: მათ შორის: ტატიანა თორდია, გიორგი ფიფია, სერგო ალშიბაია და სხვები.

სკოლის დამთავრების 25 წლის იუბილემ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში, ჩემს ცხოვრებაში იგი მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩემი ცხოვრების გზაზე. იუბილეზე ბევრი სურათებიც იქნა გადაღებული, რომლებიც შემომრჩა. 31 წლის მანძილზე, ნუთუ არავის შემორჩა არც სკოლის 1954-55 წწ. გამოშვების ან სკოლის დამთავრების 25 წლის იუბილეზე გადაღებული სურათები, რომ მას თავისი ადგილი ეპოვნა წიგნში, რომელიც მემატიანესავით გადმოგვცემს ძალიან საინტერესო ისტორიას ჩვენი მშობლიური სკოლის საამაყო პედაგოგებზე, ამღზრდელებზე და ღირსეულ შვილებზე, რომლებმაც ეს სახელოვანი სკოლა დაამთავრეს. მინდა ავღნიშნო ის ფაქტი, როდესაც ბატ. ვაჟა ფიფიასაგან მოწვევა მივიღე, გადავათვალიერე ალბომი და მოვძებნე სკოლის დამთავრების 25 წლის იუბილის ამსახველი სურათები და წამოვიღე თან. ჩხორიის საშუალო სკოლის 100 წლის იუბილეზე მისი დაარსებიდან, მომეცა შესაძლებლობა გავცნობოდი წიგნის ავტორს ბატ. დემურ კუხალეიშვილს, ჩემს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც 25 წლის იუბილეზე გადარებულ სურათზე აღმოჩნდა ბატ. დემურ კუხალეიშვილის ფოტოსურათი. მხოლოდ ჩემთვის გაუგებარია ის, რომ ბატ. დემური რა რანგში გვევლინება 31 წლის წინათ: მოსწავლის თუ მასწავლებლის (ის ხომ ძალიან ახალგაზრდაა) მარტო ეს სურათიც კი საკმარისი იყო, ჩვენი გამოშვების წიგნში შეტანისა და დაფიქსირებისათვის. ამას მე ვამბობ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ ჩემი სკოლის 1954-55 წწ. გამოშვების, ჩემი თანაკლასელების, ჩემი მეგობრების სახელით და ყველა იმ გამოტოვებული გამოშვებების სახელით, რომელიც სრულყოფილად გამოაჩენდა წიგნს, რომლის ავტორიც თქვენ ბრძანდებით ბატონო დემურ!

მე ძალიან ვამაყობ იმ იუბილეს ჩატარებით, რომელსაც ჩხორიის საშუალო სკოლის დამთავრების 25 წლის იუბილე ჰქვია და კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა იმ დიდებულ ქართველს, რომელმაც განაპირობა ჩვენი შეხვედრა და სხვა ყველა ორგანიზაციული საკითხები, რომელიც მან თავისთავზე აიღო, ეს ღირსეული კაცი არის, ჩემი საყვარელი მეგობარი დათო კუხალეიშვილი, რომელთანაც მე კავშირი არ გამიწყვეტია სკოლის დამთავრების შემდეგ 56 წლის მანძილზე.

ნამდვილად ქების ღირსია ჩხორიის საშუალო სკოლის 100 წლის იუბილის ჩატარების ორგანიზატორები: ქალბატონები იზოლდა ხვიჩავა, მაყვალა ჯგუბურია, ვაჟა ფიფია, დემურ კუხალეიშვილი და სხვები. იუბილე თავისი ორგანიზებულობით, მასშტაბურობით, კომპეტურობით, გრაციოზულობით, სილამაზით, ხასიათით, შეხვედრებით, გახსენებებით, სკოლის თვითშემოქმედების დიდი კონცერტით, რომელმაც მასშტაბურობით და დროის ხანგრძლივობით თვით „იუმორინასაც“ გადააჭარბა და განთქმული მეგრული სუფრით, რომელიც დიდებულად წარმოადგინა ორგანიზაცია „დიდებულმა“, სუფრას ორი რამ ამშვენებს: ღვინო და თამადა, ჩემი შეხედულების გამოთქმის უფლებას თუ მომცემთ მე ჩემს აზრს გამოვთქვამ, ღვინო ბრწყინვალე იყო, თამადაც კარგი, მხოლოდ ძალიან დემოკრატიული, რამაც საშუალება ამდენი ხნის ერთმანეთის უნახავ ხალხს მისცა, ერთმანეთთან გრძელი საუბრები გაებათ, თუმცა მათ ამისათვის თამადამ ძალიან ბევრი დრო მისცა. ყოველივე ამან, თამადის გამოსვლის, ლამაზი სადღეგრძელოების სრულყოფილი მოსმენა შეუძლებელი გახადა, ამიტომ ჩემი პატარა გაგებით ქართული სუფრის თამადა უნდა იყოს ავტოკრატიული და არა დემოკრატიული, ქართული სუფრა ქრისტიანული სიყვარულისა და ერთმანეთთან ურთიერთობის უნიკალური ინსტიტუტია, მე როცა ვამბობ ქართულ-მეგრულ სუფრაზე მე მათ ვაიგივებ, მაგრამ ზოგიერთი „ბოროტი“ ენები ამბობენ მეგრული სუფრა ქართული სუფრის აკადემიაა, ეს სიტყვები ბევრჯერ მეც გამიჟღერებია ბევრ სუფრაზე, მაღალ საზოგადოებასთან ერთად მაგრამ არავინ შემომდავები, ა რადგანაც ეს ჩემი სიტყვები არ არის, ეს ჩემზე დიდმა და დამსახურებულმა ადამიანმა – პიროვნებამ სთქვა.

მე მინდა არა მარტო მეგრულ სუფრაზე არამედ მთელ სამეგრელოზე ჩემი შეხედულება ჩამოვაყალიბო: მე არ შემიძლია სამეგრელოზე არ ვიყო შეყვარებული, მე არა მაქვს უფლება ჩემი მშობლიური კუთხე არ მიყვარდეს, მე არ შემიძლია ჩხორიის სკოლაზე, როგორც ცოდნის კერაზე შეყვარებული არ ვიყო და არ გავიხსენო დიდი ილიას სიტყვები: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს უნახავს საქართველოს, მრავალ ქარტეხილს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა მზედა მისსა, ჟამსა გარდაუვალი გაწბილებისა, მაცხოვარი ძალა, იგი ქვეყნის მხსნელი სამეგრელოდან მიმდინარეობდა, მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება, ასე იყო წინათ, ასე არის ეხლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“.

ერთგულება მეგრელ კაცს გენში უზის, რომელიც გულით მინდა ყველა ქართველს ჰქონდეს, სამშობლოზე ყველაზე მეტად შეყვარებული კუთხეც სამეგრელოა.

ყველაფერი ეს, სიტყვები და მოგონებები დამაწერინა იმ დიდმა ყურადღებამ და მოფერებამ, რომელიც მე განვიცადე ჩხორიის საშუალო სკოლის 100 წლის იუბილეზე მიძღვნილ ზეიმზე, რომელიც დიდხანს გამყვება ტკბილ მოგონებად, მე ძალიან მოხიბლული ვარ როგორც სკოლის დირექტორის – იზოლდა ხვიჩავასი, ისე მისი წინამორბედი დირექტორის – მაყვალა ჯგუბურიას პიროვნებით. **პიროვნება** – ეს ძალინ დიდი მცნებაა: „პიროვნება ქმნის ისტორიას და არა ისტორია გმირებს“. ასევე, იმ უბრალოებამ, რომელიც მე თქვენში ვნახე. იმდენად დიდია ადამიანი რამდენადაც ის უბრალოა, უბრალოება ეს გენიალობააო უთქვამს მიქელანჯელოს.

კარგ ადამიანებს გააჩნიათ ჯადოსნური ხიბლი. მათთან ურთიერთობისას უნებლიეთ მოეცევით მათი სითბოსა და გავლენის ქვეშ, ასეთი გავლენა ვიგრძენი მე თქვენი ყურადღებით, განსაკუთრებით ქალბატონების იზოლდა ხვიჩავას და მაყვალა ჯგუბურიას სახით. დიდი მადლობა, თქვენ, და ყველა საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას, ბრწყინვალედ ჩატარებული სკოლის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ჩემს წერილში ბევრ გრამატიკულ და სტილისტიკურ შეცდომებს ნახავთ და ნუ დამძრახავთ, მე არა ვარ ფილოლოგი, მე ვარ ეკონომისტი და იურისტი.

პატივისცემით,

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲠᲓᲘᲐ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

არჩილ არველაძე: საქართველოს ამ ტურნირისთვის ხარჯი ნამდვილად უღირს

2017 წელს, საქართველო ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. მატჩები "მიხეილ მესხზე", გორის "თენგიზ ბურჯანაძეზე", "მცხეთა პარკსა" და რუსთავის "ფოლადზე" გაიმართება.

დასკვნითი ეტაპის ფორმატი უცვლელია. საქართველოს 7 ნაკრები ესტუმრება. ჩვენი 19-წლამდელები კი, როგორც მასპინძლები, ევროფინალში ავტომატურად დაიშვებიან.

ზვიად სიჯინავა: ჩვენი ყველაზე დიდი კონკურენტი ინგლისი იყო!

სფფ-ის სპორტული დირექტორი არჩილ არველაძე იმედოვნებს, რომ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის წარმატებით მასპინძლობის შემთხვევაში, ჩნდება წინაპირობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატსაც ვუმასპინძლოთ.

"19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი სერიოზული ტურნირია. მისი მასპინძლობის სურვილი დიდ ქვეყნებს ჰქონდათ - ინგლისს, ესპანეთს, გერმანიას... მგონი, ბელგიასაც. ასეთ კონკურენტებთან გამარჯვება შემთხვევითი ვერ იქნებოდა.

ფედერაცია ამაზე ორი წლის განმავლობაში მუშაობდა და უეფაში ყოველი ვიზიტი ამ საკითხის საჩვენოდ მოგვარებას ემსახურებოდა.

უეფას გადაწყვეტილება თბილისში ასაკობრივი ნაკრებების შესარჩევი ეტაპების კარგმა მასპინძლობამაც განაპირობა და ამ ტურნირებში ჩვენი გუნდების ღირსეულმა და სტაბილურად კარგმა შედეგებმაც.

ეს ყველაფერი იმის წინაპირობა უნდა გახდეს, რომ საქართველომ მსოფლიოს ჩემპიონატსაც უმასპინძლოს", – ამბობს არველაძე.

მისივე თქმით, საქართველო არა მხოლოდ საიმედო და მშვიდი ქვეყნის სახელს განიმტკიცებს, არამედ ფინანსურადაც მოიგებს:

"ახლა ზუსტად ძნელი სათქმელია, რა შემოსავლები ექნება საქართველოს ტურნირიდან, მაგრამ თავისთავად ესეც უნდა ვიგულისხმოთ, რადგან 7 გუნდს გულშემატკივრები, მედია, დაინტერესებული სელექციონერები ჩამოჰყვებიან.

კიდევ ერთს დავამატებ – მოგების კუთხით, სასურველი იქნება, ფინალურ ეტაპზე რაც შეიძლება მეტი ჩვენი მეზობელი ქვეყნის ნაკრები რომ გავიდეს: უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი...

ასეთ შემთხვევაში, ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება".

სპორტული დირექტორის თქმით, ტურნირისთვის სტადიონების მშენებლობას მხოლოდ სახელმწიფო დააფინანსებს:

"ჩემპიონატისთვის საჭირო სტადიონებს სახელმწიფო ააშენებს. ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაცია მთავრობას წინასწარ შეუთანხმდა. ასეთი ტურნირისთვის ხარჯების გაღება კი ქვეყანას ნამდვილად უღირს".

ბრიუს ლის ფილოსოფია: TOP 14 ცხოვრებისეული პრინციპი

მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა გამორჩეულმა პიროვნებამ ბრიუს ლიმ საბრძოლო ხელოვნებასა და კინემატოგრაფიაში წარმატებას მხოლოდ მუშტების წყალობით არ მიაღწია. მისი კიდევ ერთი საიდუმლო ნამდვილი აღმოსავლური მამაკაცური ფილოსოფია იყო.

იგი რომ უდავოდ ნიჭით გამორჩეული გენიალური პიროვნება გახლდათ, მეტყველებს ისიც, რომ ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და სასცენო ან კინოხელოვნების დარგის თეორიული დაუფლების გარეშე, პირველივე ფილმში გამოავლინა ის უნიკალური თვისებები, რამაც ბრუს ლი წამიერად აქცია მსოფლიო დონის კინოვარსკვლავად.

ამავე დროს იგი ეწეოდა აღმოსავლური ორთაბრძოლების მძლავრ პროპაგანდას, რითაც მიიზიდა ლამის მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა და ცხოვრების ჯანმრთელ წესს აზიარა ისინი.

ამავე დროს, მთელი მსოფლიოსათვის ცხადი გახდა ის, რაც მხოლოდ ლეგენდის სახით იცოდნენ სპორტის თეორეტიკოსებმა და უბრალო მოყვარულებმა – სისტემატური შესაძლებლობებით შეიძლება ისეთ ფენომენალურ შედეგს მიაღწიო, რაც ყველა კანონებით აჭარბებს ერთი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს.

შეიძლება ამიტომაც ამოიჩემეს იგი ჩინურ-იაპონურ მაფიათა თავკაცებმა, რადგან ახალგაზრდობა მათ სჭირდებოდათ ნარკოტიკების გასასაღებლად და თავიანთ რიგებში გასაწვრიანებლად. ამიტომაც იწვევენ ეჭვს მისი მოულოდნელი სიკვდილის გარემოებები, რომელიც დღემდე ბურუსითაა მოსილი.

გთავაზობთ ბრიუსის (იგივე ლი იუენ კამი) ცხოვრებისეულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ის წარმატებული მამაკაცი გახდა.

1. მნიშვნელოვანი არ არის, რამდენად ნელა მოძრაობ. მთავარია, რომ შენ არ ჩერდები.

2. ნამდვილი მეგობრები ალმასებივით არიან – ძვირფასები და იშვიათები. შეცდომით არჩეული მეგობრები კი შემოდგომის ფოთლებივით არიან – ყველგან ყრიან.

3. თუ გაკრიტიკებენ, ესე იგი ყველაფერს სწორად აკეთებ. ადამიანები ყოველთვის იმას ესხმიან თავს, ვისაც ჭკუა აქვს.

4. სულელებს ყოველთვის გრძელი ენა აქვთ.

5. მიზანს ყოველთვის არ უნდა მიაღწიოთ. ზოგჯერ ეს მიმართულებაა მოძრაობის გასაგრძელებლად.

6. საკუთარი შეცდომების პატიება ყოველთვის შეიძლება, თუ მათი აღიარების სიმამაცე გაგაჩნიათ.

7. იყავი მომთმენი, მაგრამ დაუმორჩილებელი. იყავი ძლიერი, მაგრამ არა სასტიკი.

8. სიმარტივე ხელოვნების უმაღლესი საფეხურია.

9. არ აქვს მნიშვნელობა რას აკეთებ. მთავარია, როგორ აკეთებ ამას.

10. არ მეშინია იმისი, ვინც 10 ათას დარტყმას სწავლობს. მეშინია იმის, ვინც ერთ დარტყმას 10 ათასჯერ სწავლობს.

11. რაზეც ფიქრობ, ის ხდები.

12. თუ ფიქრობ, რომ ეს შეუძლებელია, მაშინ იცოდე, რომ შენ თავად გახადე ეს შეუძლებელი.

13. ბრძოლაში სპონტანურობა იმარჯვებს. ზეპირი ყოველთვის წაგებულად რჩება.

14. გაათავისუფლე შენი ტვინი, გახდი უფორმო, როგორც წყალი. წარმოიდგინე, რომ მას ჭიქაში ასხამ და ის ჭიქა გახდება. თუ მას ჩაიდანში ჩაასხამ, ის ჩაიდანი გახდება. გახდი წყალი, ჩემო მეგობარო.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

სვანი სტუმარს ასეირნებს სოფელში, კოშკებს ათვალიერებენ. უცებ სტუმარი იძახის:

– ვაიმე, იმ კოშკიდან ვიღაც კაცი თოფს მიმიზნებს!

– ჰო, მე მაგას ძმა მოვუკალი და ეტყობა სისხლის აღება უნდა – ამშვიდებს მასპინძელი.

– მერე რა მეშველება?

– შენ არაფერი გეშველება, მაგრამ ნუ გეშინია, მაგასაც ჩამოუვა სტუმარი და...

* * *

დაქალები საუბრობენ.

– რა ცუდად არის ეს ქვეყანა მოწყობილი; ყველაფერი, რაც მომწონს, ან მასუქებს, ან უზნეობად ითვლება!

* * *

სვანი ბოძს ფეხზე დგამს და ზედ მიძვრება. ბოძი წაიქცევა. ისევ ააყენებს და მიძვრება და ასე შემდეგ. დაიტანჯა.

– რას შვრები? – ეკითხება გამვლელი.

– ამ ბოძის სიმაღლე მინდა გავზომო და ეგ კიდევ იქცევა, მერამდენედ ჩამოვვარდი.

– მერე დადე მიწაზე და ისე გაზომე!

– მეც ეგრე ვაპირებდი, მაგრამ ჩემმა ძმამ თქვა, ეგ სიგრძე გამოვაო.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაჭირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge